

გაზეთი ბეჭედი „ვერსიას“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

მთხზაბათი

პარასკევი

№6 (1032) 21 - 22 იანვარი, 2015 წელი

## ლაგვიის ელჩის არაფორმალური ინტერვიუ



ელიზა გაველი:  
„იმედია, თამარ  
ბერუჩაშვილი,  
„დიპლომატ  
ქაღთა მცირე  
საზოგადოების“  
ფრადიციას ან  
ულადაცებს“

გვ. 7

# იური ვაზაგაშვილი მოკლეს



გვ. 2

პროცესტი პარდამენცის წინ – დაინყება თუ არა  
აქციები სამართლიანობის აღგენის მოთხოვნით

## „ტერორისტები საზღვრებთან მოგვადგნენ!“



გიორგი ვოლსკი: „როგორც  
ვიცი, გიორგი კობახიძემ  
წინო ბურჯანაძის  
პარტია დატოვა“

გვ. 3

„ოპოზიციის იმ არის, სადაც  
ხალხმა მიუჩინა ალბილი!“

იტანამშრომდებენ თუ არა ადსანის  
პარციასთან და რაცომ აქვს  
ნაციონალების ხმებს სსსიციციციცი  
მნიშვნელობა „ახლებისთვის“

გვ. 3



## ფულის „რასხვის“ ბეჯანიზმი ელექტრონულ ბანკარაბუმი

რა მიზეზით ჩაშადა მთავრობამ  
სახელმწიფო ცენდერები და რა  
დეცადებს უმხედს „ვერსიას“  
შესყიდვების შესახებ კანონის  
ერთ-ერთი ავტორი

გვ. 5

## „ნასადკების თარაბუმი“ ზონაზე

კაციმარის  
დღიური



გვ. 6

არჩილ ფრანგიშვილი:  
„ჩვენი არს ერთი სტუდენტი  
დაუსაქმებელი არ უნდა დარჩეს“

განათლების სამინისტრომ  
ცექნიკური უნივერსიტეტის აგრარული  
ფაკულტეტის შენობა გაარემონტა და  
უნიკალური დაბორაფორიით აღჭურვა

გვ. 9

„მე უნდა დაგიხვია, ქათი!“ –  
მანანა სურგაძე დუმილს არღვევს

გვ. 8



# იური ვაზაგაშვილი მოკლეს — დაიწყო თუ არა აქსიები-სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით



აფეთქება კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში მოხდა. არსებული ინფორმაციით, შვილის — ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავზე მყოფი იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს.

იური ვაზაგაშვილი თანასოფლელებთან ერთად, ახლობლის გასვენებაში იმყოფებოდა და შვილის საფლავზე ყვავილებს გამოცვლა გადაწყვიტა. აფეთქება სწორედ ამ დროს მოხდა. იური ვაზაგაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ სასაფლაო დანაღმული იყო.

აფეთქების შედეგად იური ვაზაგაშვილს დაზიანებები საფეთქელსა და ხელზე აქვს მიღებული. იგი ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილის და აცხადებს, რომ მისი ძმა და ძმისშვილი ერთი და იგივე ადამიანებმა მოკლეს.

თავდაპირველად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ვაზაგაშვილს თავი მოეკლა, რაც მისმა ახლობლებმა, კატეგორიულად უარყვეს. ეს ვერსია არ დაიჯერა კიდევ ერთი მოკლულის, ბუტა რობაქიძის დედამაც. ია მეტრეველმა განაცხადა: „იური ვაზაგაშვილი თავს არ მოიკლავდა, გამორიცხვლია. ეს იმის ბრალია, რომ მკვლელები ჯერ კიდევ გარეთ დადნან და ჯერ კიდევ ამდენი ძალა აქვთ, შემდეგი მსხვერპლი მე ვიქნები, ალბათ, ასე იქნება“. ასეთივე განცდა აქვს ბუტა რობაქიძის მამას, სოსო რობაქიძესაც. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში მოკლული ახალგაზრდების ოჯახის წევრებს, ეჭვი გაუჩნდათ, რომ თავის დროზე გირგვლიანის დედაც მოკლეს და მათგან ვინ იქნება შემდეგი, გაურკვეველია. „ეს რა ხდება ქვეყანაში? შვილის საფლავთან მისვლა უნდა გვეშინოდეს? კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, სასწრაფოდ გამოიძიონ ეს ტერაქტი“, — აცხადებენ შვილმკვდარი მშობლები.

ფაქტის სასწრაფოდ გამოძიებას ითხოვენ ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლებიც. განა და რამდენიმე საეჭვო ვერსია. მაგალითად, ის, რომ იური ვაზაგაშვილი მისი შვილის მკვლელებმა მოკლეს. მას შემდეგ კი, რაც სოსო რობაქიძემ განაცხადა, ერთად ტელევიზიის გაკეთებას ვგეგმავდითო, ბევრს გონებაში ეროსი კინძარიშვილი ამოუტივტივდა, თუმცა... ვერსიებზე საუბარი ჯერ ნაადრევია და სამართალდამცავებზეც მოუწოდებენ საზოგადოებას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ემოციური შეფასებებისა და პროგნოზებისგან თავი შეიკავონ.

ადგილზე გამანადგმელებმა და კრიმინალისტებმა იმუშავეს. პროკურატურამ კი, იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების ფაქტზე, გამოძიება დაიწყო. მთავარი პროკურატურის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში.

„ტარდება გადაუდებელი და პირველადი მოქმედებები. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა ინფორმაციას ვერ მოგაწვდით“, — აცხადებენ პროკურატურაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი კი უწყებისგან, ვაზაგაშვილის მკვლელობის სასწრაფოდ გამოძიებასა და დამნაშავეების კანონის მთელი სიმკაცრით დასჯას მოითხოვს: „შოკირებული ვარ მომხდარით. იური ვაზაგაშვილის სიკვდილი ყოველი ჩვენგანისთვის თავზარდამცემია. გულწრფელად ვუსამძიმრებ ვაზაგაშვილების ოჯახს. ამ ოჯახში კიდევ ერთხელ დატრიალდა წარმოუდგენელი ტრაგედია. მოვიტხოვ მთავარი პროკურატურისგან, სასწრაფოდ გამოიძიონ იური ვაზაგაშვილის საქმე და უმოკლეს ვადებში დაასრულონ ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე. ჩვენ ყველაფერს გადავკეთებთ, რომ ყველა დამნაშავე დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით“.

იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების დღესვე, 20 იანვარს, საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციას არასამთავრობო ორგანიზაციები და უფლებადამცველებიც შეუერთდნენ. აქციის მონაწილეებმა ვაზაგაშვილის მკვლელების დასჯა და რეჟიმის გასამართლება მოითხოვეს. კიდევ ერთი მოთხოვნა, ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის სასწრაფოდ გამოძიებაცაა. მეტიც, აქციის მონაწილეებმა შესაბამის უწყებებს მოუწოდეს, იური ვაზაგაშვილის დასაფლავებამდე, ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის მნიშვნელოვანი დეტალები გაასაჯაროონ. ცხადია, „გლობალური მოთხოვნა“ სამართლიანობის აღდგენა და ყველა გახმაურებული მკვლელობის სასწრაფოდ გამოძიებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციის ორგანიზატორები პერმანენტული საპროტესტო აქციებით იმუქრებიან, თანაც ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. იური ვაზაგაშვილი მოკლული შვილის საფლავზე მოკლეს! დაიწყო თუ არა მასშტაბური საპროტესტო აქციები სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით, რამდენიმე დღეში — იური ვაზაგაშვილის დასაფლავების დღესვე გავიგებთ.

## პერსონალი

### მამა ილია კარტოზია დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტერში დაკრძალეს



„ვუსამძიმრებ მამა ილიას ოჯახს, ყველა მის ახლობელს, მის მრევლს, ჩვენს ეკლესიას, ჩვენს მოსახლეობას. მამა ილიამ მართლად გვაჩვენა სამაგალითო გმირობა. ჩვენი ვალია, სათანადო პატივი მივავაგოთ მის ხსოვნას“, — აღნიშნა ირაკლი ლარიბაშვილმა.

არქიმანდრიტი ილია კარტოზია 28 დეკემბერს, ადრიატიკის ზღვაში, ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა. იტალიიდან ჩამოსვენების შემდეგ მამა ილია სამების საკათედრო ტაძარში დაასვენეს, 19 იანვარს კი სვეტიცხოველში გადაასვენეს.

არქიმანდრიტი ტაძრიდან სასულიერო პირებმა და ჩოხოსნებმა გამოასვენეს. მამა ილიას დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტერში დაკრძალეს. იგი აღნიშნული ტაძრის წინამძღვარი იყო. მამა ილიას ხსოვნას პატივი საქართველოს პოლიტიკოსებმაც მიაგეს. საქართველოს პრეზიდენტმა მის ოჯახს პირადად მიუსამძიმრა. გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მამა ილია კარტოზიამ გმირობის მაგალითი აჩვენა და ამით მთელი კაცობრიობა უკეთესი გახადა: „საქართველოს ისტორიაში, სადაც სამშობლოსთვის თავდადებული ამდენი წმინდანი, ამდენი გმირია, ძნელია, ჩანერო შენი სახელი, მაგრამ მამა ილიამ ეს შეძლო და თავისი გმირობით უკეთესი გახადა მთელი კაცობრიობა. გაანათა თავისი რწმენით და გმირობით. ჩვენ მამა ილია კარტოზია სამოქალაქო გმირობისთვის დაავჯიდოდეთ. ეს მცირე ნვლილია, რაც შეგვეძლო გავკეთებინა, მაგრამ ბუნებრივია, მისი ხსოვნის პატივისცემა და მის მაგალითზე მომავალი თაობების აღზრდა ყოველი ჩვენგანის ვალია“.

მამა ილია კარტოზიას სამოქალაქო პანაშვიდს სვეტიცხოველში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი დაესწრო. პრემიერმა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა და მამა ილიას ხსოვნას პატივი მიაგო.

## ირაკლი ლარიბაშვილი ლაოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას



საქართველოს პრემიერ-მინისტრი შვეიცარიაში, რიგით 45-ე სესიაზე დასასწრებად 20 იანვარს გაემგზავრა. საქართველოს დელეგაციაში ასევე შედიან: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვიციანი, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუაშვილი, საქართველოს თანაწევრების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია, ასევე „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე.

ვიზიტის დასაწყისში ირაკლი ლარიბაშვილი დაესწრება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებლისა და აღმასრულებელი თავმჯდომარის პროფესორ კლაუს შვაბის კერძო მიღებასა და სადილს. პრემიერი სიტყვით გამოვა სესიაზე — Session Travel and Trade in a High-Risk Era, Luncheon: Europe Growth Markets.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას მიიღებს „მსოფლიო ლიდერების არაფორმალურ შეხვედრაში“, სადაც მომავალი წლის ეკონომიკური პრიორიტეტები განისაზღვრება. ირაკლი ლარიბაშვილი რამდენიმე ქვეყნის პირველ პირს პირისპირ შეხვდება. დაგეგმილია შეხვედრები მსოფლიოში წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან. საქართველოს პრემიერი წამყვანი უცხოური მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრშიც მოხვდება. უკვე დაგეგმილია ლარიბაშვილის ინტერვიუ Die Welt-თან, პირდაპირი ჩართვა ტელეკომპანია CNBC-ის ეთერში.

„პირველი“

### 16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში აქტიური როლი დაკავშირებულია

ირანული საინფორმაციო სააგენტო „ჰამმამარის“ ცნობით, 12 იანვარს ირანის სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილი მოჰამადამინ როოინთან ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით გომიშანის ოლქში დააკავეს. ის კოჩალიძის გარდა 8 წლის ირანელი ბიჭის მკვლელობაშიც არის ეჭვმიტანილი. სწორედ ამ დანაშაულის გახსნის შემდეგ გაირკვა, რომ მოჰამადამინი საქართველოში ჩადენილი დანაშაულისთვის ინტერპოლით იძებნებოდა. ეჭვმიტანილმა დაკითხვის დროს განაცხადა, რომ კოჩალიძის მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა, რადგან მას გოგონამ ურთიერთობაზე უარი უთხრა, რამაც გააღიზიანა.



შსს-ს ინტერპოლიდან ინფორმაცია ჯერ არ მიუღია. გარდაცვლილის დედა აცხადებს, რომ ის არანაირ ინფორმაციას არ ფლობს. 2013 წლის 22 ივლისს ბათუმის ახალ ბულვართან 16 წლის მარიამ კოჩალიძის ცხედარი იპოვეს. საქმე შსს-მ გახსნილად გამოაცხადა, თუმცა ირანის მოქალაქემ, რომელმაც სავარაუდოდ დანაშაული ჩაიდინა, ქვეყნიდან გაქცევა შეძლო. დამნაშავე ინტერპოლის მიერ წელსინაწინაგვის განმავლობაში იძებნებოდა.

„პირველი“

### უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლს თბილისში, სპარაუდო, 21 იანვარს ჩამოსვენება

დონეცკის აეროპორტთან მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს გარდაცვლილი თამაზ სუხიაშვილის ცხედარი ქალაქ დნეპროპეტროვსკში გადასვენებული. უკრაინაში, დონეცკთან ახლოს, ბრძოლების შედეგად ერთი ქართველი სამხედრო დაიღუპა და სამი კი დაიჭრა. დაზარალებულთა შორის ერთ-ერთი ბატალიონის ასეულის მეთაური იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ქართველები უკრაინის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ბატალიონში მსახურობდნენ, რომელიც დონეცკის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო დისლოცირებული.

გარდაცვლილი ქართველი სამხედრო ხაზარაძე თამაზ სუხიაშვილია, რომელიც 25 იანვარს 37 წლის გახდებოდა. იგი საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მონაწილეა და მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

თამაზ სუხიაშვილის საქართველოში გადმოსვენების ხარჯებს საქართველოს საელჩო გაიღებს. უკრაინაში საქართველოს საკონსულოს ინფორმაციით, უკრაინაში დაღუპული ქართველი სამხედრო საქართველოში შესაძლოა, ორ დღეში ჩამოსვენდეს.

„პირველი“



# „როგორც ვიცი, ბიორგი კობახიძემ ნინო ბურჯანაძის პარტია დატოვა“



ნინო ბურჯანაძე  
599-95-33-16

იური ვაზაგაშვილის მკვლელობაზე ხელისუფლება შოკში ჩააგდო. საქმე უკვე განზრახ მკვლელობის მუხლითაა აღძრული. პოლიტიკური ცხოვრება არ ჩერდება და რამდენიმე მიმართულებით მიდის: დაესწრება თუ არა მთავრობა პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში, რატომ იქცა ნინო ბურჯანაძის პარტია „ოცნების“ კადრების სამჭედლოდ, რეალურად, ვის დასასჯელად იღებს პარლამენტი კანონს უცხო ქვეყნის უკანონო ფორმირებაში მონაწილეთა წინააღმდეგ — ვერსიის“ კითხვებს უმრავლესობის ლიდერი ბიორგი კობახიძე პასუხობს.

— ნახევარი ოპოზიცია უკრაინაში წავიდა სამუშაოდ, ამ დღეებში მათ რიგებს დავით საყვარელიძე შეუერთდა. ამბობენ, ეს უკრაინის მხრიდან არამეგობრული შესტია. თქვენც ასე ფიქრობთ?  
— რბილად რომ ვთქვათ, ეს უკრაინის მხრიდან საკმაოდ არამეგობრული ნაბიჯია. უკრაინის ადვოკატის პოზიციიდან თუ ვისაუბრებ, ალბათ, სადაც რეფორმები განხორციელდა, იმ ქვეყნიდან მიჰყავთ კადრები, თუმცა ეს რის ხარჯზე მოხდა და შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, აღარ აინტერესებთ — იციან, რომ ცვლილებებია საჭირო და მორჩა. გამოდის, ისინი რაღაც გადახრებას და გადაცდომებს, რაც მათ მიერ მიპატიჟებულმა ადამიანებმა ჩაიდინეს, არად დაგვიდევნენ.  
— კანონი უცხო ქვეყნის უკანონო ფორმირებებში მონაწილეობის დასჯადობის შესახებ ყველამ უკრაინის კონტექსტში

გაიგო. უკრაინაში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცებიც დასჯებიან? და საერთოდ, როგორ უნდა გაარკვიოთ, ვინ იბრძვის უკანონო ფორმირებაში და ვინ არა?

— ვისაც უკრაინის სახელმწიფო არმია უკანონო ფორმირებად მიაჩნია, მისი პრობლემაა. ზოგადად, არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, შეფასებები, უშიშროების საბჭოს შეხვედრებები... უკანონოა შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც კანონიერ ხელისუფლებას ებრძვის ან ტერორისტულ საქმიანობას ეწევა.  
— ეს კანონი ახლა რატომ გახდა აქტუალური?  
— მსოფლიოში ვითარება იმდენად დაძაბულია, სახელმწიფო ცდილობს, ეს მძიმე ფონი თავის მოქალაქეებს არ შეამჩნევინოს, დაცვა, მოლაპარაკებები აწარმოოს, გააფართოვოს კავშირები, სწორ პოზიციაზე დადგეს... თუნდაც ისლამური სახელმწიფოს ბრძოლები, როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო მასშტაბით იმდენად გახშირებულია, სახელმწიფოს მხრიდან პრევენციაა საჭირო.  
— მანამდე, არც ხელისუფლებაში დალაგება გვანწყენდა. რა ხდება კოალიციასა და რესპუბლიკებს შორის, თქვენ ხომ არ უთხარით ამ პარტიას, კოალიციიდან გადითო? ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, პირდაპირ კარისკენ მივითითესო.  
— ეს ბატონი ლევანის პირადი განცდაა, მე კი ასეთი განცხადებები არ მახასიათებს. თუ რესპუბლიკელებს თავად არ გაუჩნდებოდათ სურვილი, არა მგონია, ამის აუცილებლობა იდგეს. ისე, ხშირად, რესპუბლიკელები თავს უფლებას აძლევენ, მკვეთრი განცხადებები გააკეთონ, რაც არაა მართებული. უკეთესი იქნება, მეტი ყურადღება დავით უსუფაშვილის განცხადებებს დაუთმონ და ამით იხელმძღვანელონ. რას ვიზამთ, ასეთები არიან — რაღაც საკითხებზე შეუძლიათ ხმამაღალი და მწვავე განცხადებები ისე გააკეთონ, ამით მოკავშირეებიც დაზარალონ. ხშირად უთანხმოება გამოწვევამებსა და შეფასებებში გვაქვს, თუმცა ეს ნორმალური პროცესია. კოალიციიდან ვინმეს გასვლის საკითხი დღის წესრიგში წამდგომად არ დგას.  
— სამაგიეროდ, დღის წესრიგში დგას პარტია „ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად ირაკლი კობახიძის შემატების საკითხი.  
— ჯერ ერთი, ეს თანამდებობა პოლიტსაბჭოს წევრობასაც კი არ გულისხმობს. ირაკლი კობახიძე საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტი. ბოლომდე არ გადაწყვეტილა, აღმასრულებელი მდივანი იქნება თუ საერთაშორისო. ამაში არაორდინალური არაფერია, გარდა იმისა, ხომ არ მოახდენს მასზე გავლენას მამა, გიორგი კობახიძე საკუთარი პარტიული ინტერესების სასარგებლოდ. კატეგორიულად ვამბობ, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიის პოლიტიკურ შეხედულებებთან ირაკლის კავშირი არ აქვს. მამამისი კი, როგორც ვიცი, პოლიტიკურ აქტივობას მნიშვნელოვნად ჩამოკლებულია და ვფიქრობ, არც ისაა იმ პარტიული ხაზის გამტარებელი, რის გამოც ჩვენი ოპონენტები შფოთავენ. იმ დროს ნუ დავაბრუ-

ნებთ, როცა შვილი მამის საქციელზე აგებდა პასუხს. არ მომწონს დემოკრატიული მოძრაობის პოზიცია და გარწმუნებთ, არავითარი პარტიული აღრევა არ მომხდარა.  
— ანუ გიორგი კობახიძე ბურჯანაძის პარტიიდან წავიდა?  
— ჰო, რა, აღარ მოსწონს იქ. ვიცი, გიორგის თავისი შეხედულებები აქვს, დიდი პოლიტიკური პოზიციები მას არც აქამდე ჰქონია, ირაკლის კი ეს არასოდეს ვეკლებოდა.  
— შეიძლება, ბატონი გიორგიც „ოცნებაში“ წამოვიდეს?  
— რაც მეტი გამოცდილი ადამიანი შეიცვლის პოზიციას და სწორ პლატფორმაზე დადგება, მით უკეთესი. უბრალოდ, აუცილებელი არ არის, ყველა მაღალ თანამდებობაზე აღმოჩნდეს.  
— ნინო ბურჯანაძესთან მიმართებაში „ოცნების“ მოქმედებები დინამიკაში განვიხილოთ: ჯერ ბინაძეს მიეცით პოლიტდევნილის სტატუსი, მერე მისი თანაპარტიელები პოლიტპატიმრების სტატუსით გაათავისუფლეთ. მისი პარტიის კადრები ხელისუფლების რიგებშიც უხვადაა. ეს ქვეყნის არ ცოცხებს?  
— ბადრი ბინაძეს ცალკე ხომ არ გამოვყოფდით — იმიტომ არ მოგცემთ სტატუსს, ბურჯანაძის ოჯახის წევრი ხარო? აქ რამე საეჭვო რომ იყოს, დავმალავდით. ბურჯანაძის პარტიიდან ზაზა სოფრომაძე წამოვიდა, რასაც დღემდე გვაძახებენ და რა გგონიათ, ამ პარტიიდან ჯანდაცვაში რამე იდეები მოიტანა? არ გახსოვთ, თავად მარგველაშვილიც ბურჯანაძის პარტიაში იყო.  
— მე კი მახსოვს, მეგონა, თქვენ დაგავიწყდათ... ამ გახსენებაზე, უზუნაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის საკითხი თქვენ და პრეზიდენტმა როდის უნდა განიხილოთ?  
— უმრავლესობასთან კონსულტაციები მნიშვნელოვანია. პარლამენტი უშიშვნილოვანესი ორგანოა, რადგან ქვეყანა ჩვენს მიერ მიღებული კანონებით ცხოვრობს, მაგრამ რაღაც ფორმატების მოთხოვნა არასწორი მგონია — მაგალითად, გინდა თუ არა, პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობა უნდა დაესწროსო. ეს ხელოვნურ დაძაბულობას ქმნის. ჩანს, პრეზიდენტს ცუდი მრჩეველები ჰყავს.  
— თუკი პრეზიდენტმა კეთილი უნდა ინებოს და შევითანხმობთ უზუნაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა, მთავრობა რატომ არ უნდა დაესწროს მის გამოსვლას პარლამენტში?  
— ეს ერთგვარი ურთიერთგაცვლაა, შენ თუ ამას არ იზამ, მე ამას არ ვიზამო? ყველაფერს თავის ფორმა აქვს, მათ შორის, შეთანხმებასაც. იმაზეც სკანდალი აიწია, მივა თუ არა მთავრობა პარლამენტში და ეს რამდენად საინტერესო და საჭიროა, ამას არავინ კითხულობს. მთავრობა რომ არ მოვიდეს, ამით რა? პრეზიდენტი მუდმივად იმაზე აპელირებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის მისი ასეთი გამჭვირვალე ფორმა, რატომღაც, მთავრობისთვის, მისაღები არ არის. მგონი, პრეზიდენტმა ამ ფორმით საზოგადოების აუტირებას თავი უნდა დაანებოს და თავის ფუნქცია შეასრულოს!

# „ოპოზიციის იმ არის, სადაც ხალხმა მიუჩინა ადგილი!“

ნინო ბურჯანაძე  
599-95-33-16

ოპოზიციური სპექტრი დაინტერესდა; ვადადელი არჩევნები იგივე საარჩევნო გარემოში არაფერს შეცვლის; თანამშრომლობა არც ალასანიას პარტიასთანაა გამორიცხული და არც ნაციონალებთან; ყველასთვის, მათ შორის ოპოზიციისთვისაც უკეთესი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ოფიციალურად დაბრუნდება — ეს ახალი მემარჯვენეების ლიდერის, შიპრიან ჩინჩაძის შეფასებებია, რომელიც ამომრჩევლის პრეტენზიას პრეტენზიითვე პასუხობს და აცხადებს, რომ მისი პარტიისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის მუშაობა, უბრალოდ, არ შუქდება.

— დიდი ხანია, თქვენთან ყველას ერთი პრეტენზია აქვს — რატომ არ აქტიურობთ და ამ ნახალწლევს მინც თუ გაქვთ ახალი გეგმები?  
— ამ პრეტენზიას პრეტენზიით ვუპასუხებ — იქ ვართ, სადაც ადგილი ქართველმა ხალხმა მიგვიჩინა! 2012 წლიდან მედია ისეთი პოლიტიზებულია, ხალხამდე ჩვენი პროტესტის მიტანა ძნელად ხერხდება, თორემ ვაქტიურობთ და ყველა მწვავე პრობლემას ვეხმარებით.  
— შიდაოპოზიციურ დინამიკებზე გკითხეთ — 2 წელია ველით, ვინ ვისთან და რა თემაზე ერთიანდებით. მით უმეტეს, „ოცნებამ“ ოფიციალურად გახსნა 2016 წლის საარჩევნო მარათონი!  
— სამწუხაროდ, ისედაც სულ საარჩევნო რეჟიმში ვართ, საარჩევნო კოდექსი და გარემო კი, ხელისუფლების ცვლათა მიუხედავად, გადაუჭრელ პრობლემად რჩება. არსებობს გარკვეული ფორმატი, რომელსაც გაერთიანების ან ბლოკის სახე არ აქვს. ამ ფორმატში 14 პარტიაა გაერთიანებული და საარჩევნო კანონმდებლობის თემაზე ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორთან მოლაპარაკებებს ვწარმოებთ. ეს ის საკითხებია, რაც წლიდან წლამდე ესტაფეტასავით გადაეცემა პოლიტიკურ სპექტრს. ჩვენც მოლოდინის რეჟიმში ვართ — ხელისუფლების ნაწილი და პარლამენტის თავმჯდომარე, საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით, ჩვენს მოსაზრებებს იცნობს. გესურდა, ირაკლი ლარიბაშვილს შევხვედროდით, თუმცა არ მოხერხდა და არ ვიცი, როგორია მისი და პარტია „ქართული ოცნების“ პოზიცია. საარჩევნო ცვლილებები საკონსტიტუციო უმრავლესობას საჭიროებს. აქ ნაციონალების ხმები სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს და ამ საკითხის გარშემო არც მათთან თანამშრომლობაზე ვიჭყვით უარს.  
— თქვენს წინადადებას რესპუბლიკელები და უსუფაშვილი

ითანამშრომლებენ თუ არა ალასანიას პარტიასთან და რატომ აქვს ნაციონალების ხმებს სასიცოცხლო მნიშვნელობა „ახლებსთვის“

ეთანხმებიან, რომლებსაც, როგორც თავად ამბობენ, კოალიციიდან გასვლა მოსთხოვეს. კოალიციაში მიმდინარე გადანაცვლებებს როგორ ვადადებთ?  
— როცა გინდა, რაღაც უკეთესობისკენ შეცვალო და არ იცი, ხელისუფლებაში ამაზე ვის ელაპარაკო, პროცესი ფერხდება! მოსალოდნელი იყო, რომ კოალიცია 4 წელი ერთიანობას ვერ შეინარჩუნებდა. სახელისუფლო შტოებს დიდი ხანია ოპოზიციასთან კი არა, ერთმანეთთან არ აქვთ. ბიძინა ივანიშვილი უშიშრო ავტორიტეტი იყო და მისი ნასვლის შემდეგ ყველა დაიბნა. ზოგადად, პოლიტიკაში ასეთი ავტორიტეტების ყოფნის მომხრე არ ვარ, მაგრამ მგონი, აჯობებს, ივანიშვილი დაბრუნდეს — ჩანს, კოალიციაში გადანაცვლებებსა და შესაბამისად, პასუხისმგებლობას ვერც პრემიერი იღებს, ვერც მინისტრები, ვერც პარლამენტის თავმჯდომარე და უმრავლესობის ლიდერები. ეს ლოგიკურ დასასრულს ითხოვს.  
— და რა იქნება ლოგიკური ფინალი — კოალიცია რესპუბლიკელების გარეშე თუ ვადადელი არჩევნები მყიფე ერთიანობის პირობებში?  
— ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, რას გადაწყვეტს ივანიშვილი. ახლა მხოლოდ ერთ საკითხზე ბჭობენ — დაბრუნდება თუ არა იგი პოლიტიკაში. თუ დაბრუნდება, პარტიას ჩაუდგება სათავეში თუ ისევ პრემიერი იქნება. ყველა ამაზე მარჩიელობს, თუმცა იმის გამო, რომ პარლამენტი არაფერქტურია, ვითარება მალე მართლაც ვადადელი არჩევნებამდე შეიძლება მივიდეს. საინტერესოა, ასეთ დროს ვის უნდა ელაპარაკოს ოპოზიცია?! თუ ივანიშვილი პოლიტიკაში ოფიციალურად დაბრუნდება, პასუხისმგებლობასაც აიღებს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და ჩვენც გვეცოდინება, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს. დღეს სხვებთან ჩხუბი და კამათი ჰაერში მუშტების ქვეყნის ჰგავს; თანაც, თუ საარჩევნო გარემო არ მოწესრიგდა, ვადადელი არჩევნები გინდ ჩაგვიტარებია, გინდ არა — იგივე გადაწვინდება მივიღებთ.  
— დღეს ოპოზიციურ ველზე ირაკლი ალასანიაცაა. გარისკავით და მასთან ერთად კვლავ მიიღებდით მონაწილეობას არჩევნებში?  
— ოპოზიციიდან წამოსვლის შემდეგ მასთან უშუალო კონტაქტი არ გვექონია, თუმცა ამ საარჩევნო ფორმატის გარშემო მისი პარ-

ტიის თითქმის ყველა წევრთან გვაქვს ურთიერთობა. ბევრ რამეში ჩვენი ხედვა ემთხვევა, მათ შორის საგარეო პოლიტიკაში. თუმცა რამე კონკრეტული კონსულტაციები არ გვექონია. ბოლო წლებში მანამდე წარმოუდგენელ იმდენ პარტნიორთან მოგვიხდა ყოფნა, ველარაფერს გამოვრიცხავ, მით უმეტეს, როცა პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის ბალანსი, ბოლო დროს, დრამატულად შეიცვალა. შესაძლოა, ჩვენსა და ალასანიას შორის წარსულში, როცა „ალიანსი საქართველოსთვის“ არსებობდა, ბევრი გაუგებრობა იყო, დღეს კი კატეგორიული ვერ ვიქნები და ვერაფერს გამოვრიცხავ. როცა ალასანია თანამდებობიდან წამოვიდა, ჩვენმა პარტიამ მხარი დაუჭირა, რადგან ეს აშკარად პოლიტიკური პროცესი იყო და არა სამართლებრივი. ვერ ვიტყვი, რომ წინასაარჩევნოდ მზადება დაწყებული გვაქვს, მაგრამ ამ ციტინოტურ რეჟიმში მუშაობასაც მიჩვეულები ვართ.  
— ამასობაში, ოპოზიციური ველი ვინაშენაა — ნინო ბურჯანაძის პარტიაში მერე კაცის, გიორგი კობახიძის შვილი ირაკლი კობახიძე პარტია „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ხდება — ეს რას ნიშნავს, თქვენ აზრით?  
— ამ ადამიანს არ ვიცნობ, უბრალოდ, მისი რამდენიმე მოსაზრება წამიკითხავს და ვფიქრობ, კარგი კონსტიტუციონალისტი. ზოგადად, ჩვენთან ანეკდოტური ვითარებაა — „ოცნება“ დღემდე ვერ აცნობიერებს, რომ უკვე 2 წელია ხელისუფლებაშია და ამაში პოლიტიკოსთა ნაწილიც უწყობს ხელს. მაგალითად, ბურჯანაძის პარტიამ აირჩია პოზიცია, რომ ხელისუფლების სრულფასოვანი ოპონენტი კი არაა, არამედ „ოცნებას“ მხოლოდ ის უნდა უსაყვედუროს, პუტინს ხელს პირდაპირ რატომ არ ართმევ და ნაციონალურ მოძრაობას ბოლომდე რატომ არ აქრობს. სხვა საკითხებზე მისგან ოპონირება არ მომისმენია. „ოცნებისთვისაც“ ხშირად გვიწევს შეხსენება, რომ ხელისუფლებაშია და მუდმივად განვილო 9 წელზე კი არ უნდა საუბრობდეს, ამ 2 წლის განმავლობაში რა გააკეთა და ვადის ამონაწერად რის გაკეთებას აპირებს, ენეც თქვას! რაც უხეხება ირაკლი კობახიძეს, თუ მამა-შვილს შორის ამის გამო ურთიერთობა არ არის, მაშინ ეს უკვე „ოცნებასა“ და ბურჯანაძის „ოპოზიციურ“ პარტიას შორის უცნაურ თანამშრომლობაზე მიანიშნებს. ჩანს, ოპოზიციური ველი მართლაც საკმაოდ დაინტერესებულია!







# როსა ლიანდაგი ჩვენს ჯიბაზე გადის...

ლევან სავისკვირაძე

იყო და არა იყო რა. იყო თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი, სადაც ყოველთვის იყო ცუდი გზა, გამსკდარი კანალიზაციები, ქარისგან მოგლეჯილი ღობეები და გაჭედილი სანიაღვრეები. გადიოდა დრო, ქარი ძველებურად დასისინებდა მორღვეული ღობეების ღრიალებში, ავტომობილისათვის განკუთვნილ გზაზე კი ძველებურად მორაკრაკებდა წყალი, რომელიც არცთუ სასამო შემცველობისა გახლდათ.

ამ უბნებს, ბუნებრივია, არ უყვარდათ არც ქვეყნისა და არც ქალაქის ხელისუფლება, რომლებიც მათთვის არაფერს აკეთებდნენ. უბნელები გამოდებოდა გრძობდნენ, რომ ისინი მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებოდათ და ხმის მისაცემად სჭირდებოდათ, არჩევნების შემდეგ კი ამ მინჯღრულ გზებზე ვინ მოიკლავდა სიარულით თავს? ამიტომაც, ამ უბანში მთავრობას ყველა დაშოშმინადად აგინებდა და ამ გინებაში ისეთი ალალი გულწრფელობა მოსჩანდა, არაფერი სჯობდა მათ მოსმენას.

ერთ დღეს, ამ უბანს ქალაქის მერიის წარმომადგენლები ეწვივნენ, რომელთაც თან ახლდათ ამზომები, შემომწმებლები, ინჟინრები — კარგებიცა და ცუდებიც. ჰოდა ამ ხალხმა თქვა, აქვე ახლოს შემოვლითი რკინიგზა გაგვყავს, თქვენს ბალებში თუ გაგვატარებინებთ, ფულსაც მოგცემთ, გზასაც დაგიგებთ და საკაბეებსაც გიყიდით თქვენი ცოლებისთვისაო. თავიდან ეს ამბები რა თქმა უნდა არავინ დაიჯერა, მაგრამ, როცა მინჯღრული გზების დაგების პარალელურად, ლიანდაგის გასაყვანად ადგილობრივებთან კონტრაქტების დადება და ფულის გადახდაც დაიწყო, ცხადი გახდა, რომ არც ისე ცუდად იყო საქმე როგორც ეგონათ და ფული კიდევ საჭირო რამ რომაა — ეს ჩემზე კარგად იცით.

მოკლედ, გაიყვანეს ლიანდაგი, გაკეთდა ჯებირები, მშენებლობაზე რამდენიმე ადგილობრივიც დასაქმდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, უბანში გზაც ნორმალური დაიგო, გარეგანათებაც კი გაკეთდა. უფრო მეტ „უცნაურობასაც“ გეტყვით — ადგილობრივებთან უკვე დაიწყეს მისვლა მავანმა საქმის ნებმა, რომლებმაც კარგად უწყობდნენ ამ ადგილებში საწყობების გახსნა მომგებიანი რომ იქნებოდა და დაიწყეს ფართების წინასწარ ქირაობა და ერთი ამბავი. ადგილობრივებს ცოტა ფული გაუჩნდათ.

შემოვლითი გზის გაყვანა, პრაქტიკულად, დასრულებული იყო, როდესაც აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა ამ პროექტის დასრულება და ლიანდაგის კიდებზე გამოაკრეს წარწერა შემზარავი სიტყვით: „დაკონსერვებულია!“. ნესით, აქ უნდა დასრულდეს ეს ამბავი, რადგან თითქოს ყველაფერი მოვეყვი, მაგრამ ადგილობრივები სულ სხვანაირად ფიქრობენ და არ დაიჯერებთ, ახალი ხელისუფლებისადმი ისეთ რამეებს ამბობენ, ყურში რომ არ შეიშვება. ალბათ, არც იმას დაიჯერებთ, რომ ეს ხალხი არჩევნებს ელოდება, რომ...

ალბათ, ყველას გახსოვთ ჯერ კიდევ 90-იანი წლების გარიჟრაჟიდან ხველასავით გამოყოფილი ფრთიანი გამოთქმა: „ამათი გაკეთებული არაფერი გვინდა!“. ამ გამოთქმას იყენებდნენ ძირითადად მაშინ, როდესაც ვინმე ხელისუფლების გაკეთებულ თუნდაც მცირე კარგ საქმეებს გაიხსენებდა. ამ გამოთქმის ბოლშევიზმისა და ლენინიზმისაზე, მოდი, ნუ გავჩერდებით, რადგან მსგავსი ფრაზები დღესაც ხშირად გვესმის და გასაკვირიც, სამწუხაროდ, ამაში აღარაფერია.

მე კი ვიტყვი იმას, რომ გაკეთებული ყოველთვის გვინდა „ამათიც“, „იმათიც“ და საერთოდ ყველასი, ვისაც რაიმეს გაკეთება უნდა ამ უბედურ და დაქცეულ ქვეყანაში. არასოდეს მესმოდა იმ ხალხის, რომლებსაც ახალ მშენებლობაზე შეუძლიათ თქვან, რომ „ჩვენ აქ მაინც არავინ გვაცხოვრებს და სულაც ნუ აშენებულა“, რადგან ამ შენობას თქვენსაირი და ჩემნაირი ადამიანები აშენებენ, რომლებიც ცოტა ფულს მაინც შეიტანენ სახლში და ამ შენობებში ასევე ჩვენნაირი ადამიანები — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იცხოვრებენ, რომლებმაც, ვინ იცის, როგორი ნვითა და დავით შეაკონინეს ბინებისთვის სამყოფი თანხა.

ჩვენ გვინდა შემოვლითი გზაც, რუსთავის ავტობანიც და მეტიც — ჩვენი ოცნებაა, კარგი გზები და ნორმალური ინფრასტრუქტურა იქაც კი გვექონდეს, სადაც ადრე არასოდეს გვექონია. მაგალითად: თაშმეთში, ხევსურეთში, ანდა გურის მიუდგომელ სოფლებში. რაშეიძლება არა?!

რის ვაივავლახით დაწყებული პროექტების გაჩერება კი ვის დააზარალებს, მაგასაც ვნახავთ!..

# „ტერორისტები საზღვრებთან მოგვადგენ!“

## რის გასაჯაროებას ითხოვს ბაად კასრედიშვილი თავდაცვის მინისტრისგან და როგორ ისარგებლებს რუსეთი კავკასიაში ტერაქტებით



ენიმო კომახიძე  
599-95-33-16

ახალი ტერაქტები, ახალი მძევლები, „შარლი ებდოს“ შემდეგი ნომერი და ახალი მსხვერპლი, 7 ქრისტიანული ტაძრის დანვა და მორწმუნეთა შიგნით გამოწვა — ვითარება მსოფლიოში კვლავ დაძაბულია და ეს კავკასიის რეგიონზეც აისახება. როგორც კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე შაჰ სიაში უკვე თურქეთი და აზერბაიჯანიც შეიტანეს. რა როლს შეასრულებს რუსეთი ამ ვითარებაში, როგორ უნდა მოიქცეს მსოფლიო კონფლიქტში მხარედ ჩართული საქართველო, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნილი მუსულმანია და რის გასაჯაროებას მოითხოვს ორგანიზაცია თავდაცვის მინისტრისგან — „ვერსია“ ზაპალ კასრედიშვილს ესაუბრება.

— „შარლი ებდოს“ მეორე ნომერს ახალი ტერაქტები მოჰყვა, ეს პროცესი როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?

— ორივე მხარე გონს თუ არ მოუხმობს, ამ ამბის დასასრული ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის სახელმწიფოების დონეზე ოფიციალური დაპირისპირება იქნება. ჯერჯერობით, ევროპაში ისე ვგვაროსნულ განწყობაა. არადა, არ შეიძლება ტერორიზმს, როგორც შედეგს, ისე ვებრძოდეთ. ტერორიზმს პრევენციულად უნდა ებრძოლო და აღმოფხვრა გამოშვები მიზეზები — სოციალური პრობლემები, არასწორი პოლიტიკა და არასწორი ინფორმირება. ტერორისტი, რომელიც თავს რწმენის სახელით იკლავს, ფიქრობს, კარგად იცნობს ყურანს ან სუნას? თანაც, არც დამნაშავე ისევეა — დავალების მიმცემი ხომ ისევე ცოცხალია, რეალურად, მხოლოდ შემსრულებელი დასაჯეს. ეფექტური პრევენცია ის იქნება, ცივილიზებული სამყაროს თავკაცები დასხდნენ, კონცეფცია შეიმუშაონ და მერე ყველაფერი შიიტ და სუნიტ მორალურ ლიდერებთან ერთად გაიარონ. ახლა მსოფლიო საზოგადოება მიიჩნევს, რომ ამ ტერაქტებს ისლამი ამყობს, არადა ამას მხოლოდ სალაფიტები აკეთებენ და არა შიიტები ან სუნიტები, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ეს ხალხი ტერაქტებს ემიჯნება.

— იქნებ, ასეთი მოლაპარაკებები დახურულ ფორმატში უკვე მიდის?

— რაიმე მსგავსი რომ ხდებოდეს, ჩვენს ორგანიზაციას ეცოდინებოდა. არ მინდა, ტრაბახში ჩამომართვათ, მაგრამ სხვადასხვა კონფესიის მორალური ლიდერები აქტიურად გვეკონტაქტებიან, ჩვენთან კონსულტაციებსაც გადიან და ამ საკითხებზე შეხვედრაც გვთხოვენ. ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ერთი მი ვერ მართლმადიდებელი ქრისტიანი, დანარჩენი შიიტები და სუნიტები არიან, გვეყავს ვაჰაბიტებიც. ბელგიაში 13 კაცი დაიჭირეს, ტერორიზმის ბრალდებით, გერმანიაში — 7, საფრანგეთშიც დასდევენ ვილაცებს და არ მესმის, ეს მოქმედებები რისი მომტანია! აქამდე ამ ხალხს რატომ არ იჭერდნენ, მანამდეც ხომ ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში და იგივე საქმეს აკეთებდნენ?! არც იმაზე საუბრობს ვინმე, რა ხდებოდა ამ ტერორისტული აქტების დროს მეორე მხარეს — ე.წ. თავისუფლების მარშის საპირწონედ, ეს ტერორისტები გმირ ნამებულებად შერაცხეს და ათეულ ათასობით ადამიანი გამოიწნა ისლამურ სახელმწიფოში, ვინც განაცხადა, რომ ასეთივე მონაშენი კორივი სიკვდილისთვის მზადაა. დედამინაზე, არ ვიცი, რომელ კონტინენტზე და ქვეყანაში, მაგრამ არის რაღაც ძალა, ვისაც ქრისტიანებისა და მუსლიმების დაპირისპირება ძალიან უნდა.

— ასეთ დროს, რა უნდა ქნას საქართველო, როცა საკუთარი თანამემამულე მუსულმანი დაჩოქებით გვემუქრება, ხოლო ჩვენი ხალხი კოდორიდან, აჭარადან და ქვემო ქართლიდან ერაყსა და სირიაში იბრძვის და სხვადასხვა ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობს?

— საქართველოში სულ 600 000 მუსლიმი ცხოვრობს. პარადოქსულია, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ანტიტერორისტულ ოპერაციებშიც მონაწილეობენ და ტერორისტულშიც. ეს საქმე ასე მარტივად არ დამთავრდება — პირიქით, ამ მიმართულებით, კავკასიაში პროცესები მხოლოდ ახლა იწყება, რაც დღემდე არ მომხდარა. ეს, პირველ რიგში, უწმინდესისა და მისი მორალური ავტორიტეტის დამსახურებაა, თუმცა მოვლენები ნელ-ნელა ისეთი უკონტროლო ხდება, ეს ავტორიტეტი ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას არ ეყოფა. ჩვენმა ხელისუფლებამ ყველა მიმართულებით პრევენცია უნდა გაააქტიუროს და სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებთან, ვისაც ამის სურვილი აქვს, მოლაპარაკებები აწარმოოს. რაც შეეხება ახალგაზრდა აჭარელ კაცს, რომელიც დარჩენილ იმუქრება, ის წინა ხაზის მებრძოლად არ მიმაჩნია. ჩვენი აზრით, იგი მოჯაჰედი საერთოდ არ არის, უფრო ე.წ. გადამბირებულია, დაახლოებით ისე მოქმედებს, როგორც საბჭოთა კავშირის დროს პარტიკომი. მისი განცხადებები, წინა ხაზზე მებრძოლი ღირსეული კაცის განცხადებებს არ ჰგავს და მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, თუ ჭკუით არ იქნება, სადაც

არის, იქ ჩავალთ და თავის ადგილს მივუჩენთ! ასეთები უფრო საშიშები არიან, რადგან შეიძლება ზურგიდან მოგეპარონ. თუმცა არ ვფიქრობ, რომ ოდესმე ვინმე დაგვაჩოქებს — ეს ოსმალეთის, სპარსეთის იმპერიებმა და საბჭოთა კავშირმა ვერ შეძლო და ეჭვი მეპარება, ამ „ნიუდაჩიკმა“ აჭარელმა შეძლოს! ბოლო დროს, ჩვენი აზრით, საეჭვოდ, ხელოვნურად გააქტიურდნენ ქართველ მუსლიმთა თემში და ჩრდილოკავკასიაში, კადროვთან დაახლოებული სასულიერო პირები, რაც შემთხვევით არ ხდება.

— აბა, რა მიზანს ემსახურება ეს გააქტიურება, რისთვის დაიწყო მზადება?

— კავკასიაში, ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტები, ჩემი აზრით, აღარ იქნება. ყველა კონფლიქტი, რაც აქამდე მოხდა, ინსპირირებული იყო და ახლა დაკონსერვებულია, ამიტომ მათი განახლება, ან ახალი კერების შექმნა მსოფლიო რეზონანსს ვერ გამოიწვევს. ახლა ყველაზე სენსიტიური თემები ტერორიზმი და რელიგიური მოტივებით დაწყებული კონფლიქტებია. ვფიქრობ, კავკასიაში ახალი კონფლიქტი სწორედ რელიგიურ ნიადაგზე მნიშვნელობა და ესეც კავკასიის ფარგლებსგარეთ იგეგმება. ზოგადად, ნებისმიერი პროცესი შეიძლება როგორც ჩვენს სანაწილადგეგოდ, ისე სასარგებლოდ გამოვიყენოთ. გააჩნია, რა მიზანი გვაქვს. თუ ჩვენი მიზანი საერთაშორისო საზოგადოებისთვის თავისმონებება, ცხადია, ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა უნდა გავაგრძელოთ. თუ ჩვენი მიზანი ეს არაა, მაშინ ასე არ უნდა ვაქტიურდებოდეთ. თქვენი გაზეთის საშუალებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრს მივმართავ — სასწრაფოდ გამოაქვეყნე საქართველოს უსაფრთხოების დოქტრინა და ქართული ჯარის მშენებლობის კონცეფცია, რათა ვიცოდეთ, საით მივდივართ და რა არის ჩვენი მიზანი. როცა ეს ყველაფერი არ იცი, პროგნოზი შეუძლებელია. ჩვენ, 21 ქვეყანაში ავტორიტეტულ ორგანიზაციას გვიანტირებს, რას გვიმალავს და რა აქვს ასეთი. მისმა წინამორბედმა, ალასანიამ 2 წელი მაგრად „აბოლა“ ხალხიცა და ქვეყანაც, მაგრამ ახლა იქ არის, სადაც უნდა იყოს და მეტის პერსპექტივა არც აქვს. ეს ახალი მინისტრი კი რას აკეთებს, ვერავინ გაიგო — ერთი სამარცხვინო განცხადება გააკეთა და მას მერე საერთოდ აღარ გამოჩენილა. სწორედ ამის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, ყველა ოპერაციაში მონაწილეობა საჭირო და სასიკეთოა თუ დამლუჭველი. გვაქვს კონცეფცია, როგორ დაიკავს თავი საქართველომ დამოუკიდებლად ისე, რომ ამაში მთელი კავკასიელი ხალხი ნებაყოფლობით ჩაერთოს. ეს ინიციატივა, თავის დროზე, წინა ხელისუფლებამ დაამახინჯა, გააფუჭა და გაამაიმუნა — 1999 წლიდან დღემდე ვაცხადებთ, რომ კავკასიის სამშვიდობო ლეგიონი უნდა შეიქმნას.

— ეს იდეა, სამშვიდობო მეტად, საომარი და პროვოკაციული რომ აღმოჩნდეს?

— ლეგიონის სამშვიდობო ფუნქცია ექნება კავკასიის რეგიონში, სადაც კონფლიქტის არაერთი კერაა. ჩვენ არავის, მათ შორის, არც საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების იმედს გვაქვს. თუმცა საქართველო ქვეყნის შიგნითაც არავის ანტიტერაქტებს: ხელისუფლების ერთი შტო ამერიკისაა, მეორე ევროპის, მესამე რუსეთის, მეოთხე თურქეთის და ა.შ.

— რუსეთის გვერდისავლა, ამ ვითარებაში, არც ჩვენ და არც დანარჩენ მსოფლიოს გამოუვა. ბოლობოლო, რუსეთის ინტერესებში არ შედის ჩრდილოკავკასიელი ბოვიკების გააქტიურება და ვთქვათ, ისლამურ სახელმწიფოსთან შერწყმა. ასე არაა?

— რაც ახლა მსოფლიოში ხდება, ამ ისლამოფობიურ გარემოში, რუსეთისთვის ხონრით მირთმეული საჩუქარია. ეს მოვლენები წყალს რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ასხამს — ამ ვითარებაში მას კოზირი აქვს. რაც შეეხება ტერორიზმის გეოგრაფიას, ის უკვე საგანგაშოდ გაიზარდა. ჩვენი ინფორმაციით, ტერორისტებმა შაჰ სიაში თურქეთი და აზერბაიჯანიც შეიყვანეს — ტერორისტები საზღვრებთან მოგვადგენ!

— შეიძლება დაეწვას, რომ ტერორიზმთან მიმართებაში ჩვენ და რუსეთი საერთო ენას გამოვნახავთ?

— ალბათ, რუსეთს თავისი აგენტურა ხალიფატშიც ჰყავს. პირდაპირ ვიტყვი, რუსეთს კავკასიისკენ ცეცხლის გადმოგორების მცდელობა აქვს, რადგან მისთვის იდეალური ვარიანტი იქნება, კავკასიაში ტერორისტების შემოსვლა და აქტიურობების მოწყობა. მაშინ ის საქართველოში პირდაპირ შემოვა!

— და ამას იმიტოვებთ, მემინია, საზღვრებთან არ მომადგნენ და პრევენციულ ზომებს საქართველოს ტერიტორიაზე მივმართავთ?

— რა თქმა უნდა და იმაშიც გარწმუნებთ, რომ ევროპაშიც გამოჩნდებიან გაველენიანი პოლიტიკოსები, ვინც ამ ამბავს მისცალობა და ტაშს დაუკრავს. ასე რომ, ჩვენ მაინც იმაზე უნდა ვიფიქროთ, საფრთხეები საკუთარი ძალებით როგორ გავანეიტრალოთ. საამისოდ კავშირებიც გვაქვს და გავლენაც, ვისაც ამის გამოყენება უნდა, დავეხმარებით; თუ არადა, როცა ეს ხელისუფლება ცნობილია და მასაც დააჩოქებენ, ოპოზიციასთან ერთად, ჩვენს გასაკეთებელს მაინც გავაკეთებთ.

— ვინ დაჩოქებს?

— თავად მოვლენები, რაც ჩვენს ქვეყანას ნელ-ნელა უახლოვდება!



# ფულის „რესურსის“ მართვით ელექტრონულ ტენდერებში

მანია მიხეილაძე  
593-51-90-12

შესყიდვების შესახებ კანონს, რომელიც ტენდერისა და აუქციონის ონლაინ-რეჟიმში ჩატარებას გულისხმობს, სერიოზული ხარვეზები ახლავს. შარშან თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებაში ჩაიშალა ელექტრონული ტენდერი, რის გამოც 2014 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე, სამინისტროებმა საბიუჯეტო თანხები ვერ დახარჯეს. ნელს ფაქტობრივად ყველა დონის ბიუჯეტი დროულად მიიღეს. შესაბამისად, 2015 წელი, სახელმწიფო შესყიდვებისთვის სატესტო წელი უნდა იყოს. „ვერსია“ დაინტერესდა, რა მიზეზით ჩაიშალა სახელმწიფო ტენდერები და რა „გასაძრომები“ არსებობს შესყიდვების შესახებ კანონში, რაც ელექტრონულ ტენდერებს ხელს უშლის.

ონლაინ-აუქციონის ანუ ელექტრონული ტენდერის შემოღების მთავარი მოტივაცია საეჭვო გარიგებების თავიდან აცილება იყო. თუმცა კანონს უამრავი პრობლემა და ხარვეზი ახლავს, რაც ბიზნესს ხელს უშლის. შესყიდვების შესახებ კანონში უგულვებელყოფილია მომსახურების ხარისხი, აქცენტი მხოლოდ დაბალ ფასზე კეთდება, რაც ნიშნავს, რომ თუ კომპანია ელექტრონულ ტენდერში დაბალ ფასს წარადგენს, პრიორიტეტი მას ენიჭება. შესყიდვების შესახებ კანონში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი, რაც აუქციონის პრინციპს უგულვებელყოფს — შეთავაზების ფასის კლების ბიჯი, რომელსაც ბოლო შეთავაზებული ფასიდან ითვლიან და არა საწყისიდან. დავუშვათ, ამა თუ იმ მომსახურების საწყისი ფასია 19 500, ხოლო კლების ბიჯი — 200. თავდაპირველად, კომპანიას შეუძლია ისევე 19 500 ან 19 300 წარადგინოს ტენდერში, მაგრამ, როგორც კი რაუნდებში შევა, ამ ბიჯს უკვე მის მიერ შეთავაზებული ფასიდან დათვლიან. ვთქვათ, კომპანიამ 19 300-იანი შეთავაზება გააკეთა, მეორედ 19 100-ზე მეტს ვეღარ წარადგენს, მაგრამ, თუ მისი მონიშნულადეგე 19 299-იან შეთავაზებას დააფიქსირებს, ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადდებიან. არადა, აუქციონის პრინციპია, კლების ბიჯი საწყისი ფასიდან დაითვალოს. შესაბამისად, ეკონომიკის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ელექტრონულ ტენდერებში სწორედ ეს პრინციპი უნდა გაითვალისწინონ.

„ვერსია“ ქალაქის განვითარების ფონდის თავმჯდომარეს, ეკონომიკის ექსპერტს შესყიდვებისა და კონკურენციის საკითხებში, თემურ ხომერიკს დაუკავშირდა, რომელიც წლების წინ, შესყიდვების შესახებ კანონის ერთ-ერთი ავტორი იყო. „ვერსიასთან“ საუბრისას თემურ ხომერიკმა აღნიშნა, რომ შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობა ფრაგმენტულია, ანუ კანონში მხოლოდ ელექტრონული ტენდერის ჩატარების პროცედურაა გამართული. მისი თქმით, ამ ხარვეზის გამოსწორება კანონქვემდებარე აქტივად შესაძლებელია და ამისთვის კანონის შეცვლა აუქციონებზე არ არის: „რაც მთავარია, დასავლეთის ნაშთიან ქვეყნებში, ელექტრონული ტენდერების ამ პროცედურებს სტანდარტული საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე იყენებენ. ელექტრონული ტენდერითა და ფასის კომპონენტის მიხედვით, არავინ ყიდულობს ინტელექტუალურ მომსახურებას. ეს ცალკახაა და მთავრობაც თანახმაა, რომ ეს პრინციპი შესაცვლელია. ელექტრონული აუქციონი 2011 წლიდან ამოქმედდა, მაგრამ წლების განმავლობაში ცალკეულმა კომპანიებმა ამ ტენდერებში დაუსაბუთებელი ფასები წარადგინეს. სამწუხაროდ, ხარისხის კომპონენტი უკანა პლანზეა და ამიტომაც, რომ რეალურად, ბაზარზე მოქმედებენ არა პირდაპირ მიმწოდებლები, არამედ — თითქმის სპეციალურად ელექტრონული ტენდერებისთვის შექმნილი, საშუალო კომპანიები, რომლებსაც სხვადასხვა საშუაოს შესასრულებლად, სათანადო ტექნიკაც კი არ გააჩნიათ. ანუ, ტენდერებს შუამავალი კომპანიები იგებენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეძებენ ნამდვილ შემსრულებლებს. არადა, მომსახურების შემსრულებელი კომპანიები რომ მონაწილეობდნენ, სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხას დაზოგავდა. ამიტომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ერთ ადგილზე ტრიალებს“.

თემურ ხომერიკმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ შესყიდვების ბაზარზე სახელმწიფო სახსრების თითქმის 2/3, დაახლოებით 3 მილიარდი ლარი, ყოველწლიურად, უნესრიგოდ ბრუნავს, კანონის ქვეშ სახელმწიფო ფულის მხოლოდ 1/3-ია მოქცეული. შესაბამისად, შესყიდვების შესახებ კანონის დახვეწა აუცილებელია. მან ექსკლუზიურად გაგვიხილა ყველა მიზეზი, რის გამოც შარშან სახელმწიფო ტენდერები ჩაიშალა: „სიმართლეს თვალი გავუსწოროთ. კომპანიების პოლიტიკამ დააზარალა ეკონომიკაც და საზოგადოებაც, რადგან ძველი სტრუქტურები არც მანტაუსს ვერდებოდნენ და არც გარკვეული საკითხების ბლოკირებას. მათ ძველი ხელისუფლების პირობებში დაგეგმილი თამაშის წესების შენარჩუნება სურდათ. საბოტაჟის შემთხვევებიც გვქონდა — შესყიდვების ბაზრის ძველი მოთამაშეები ცალკეულ შესყიდვებს სპეციალურად ადგებდნენ, რათა ბაზარზე ფუნქციონირების საშუალება კვლავ ჰქონოდათ. ახლა თბილისის განვითარების ფონდს ვხელმძღვანელობ. ეს ბაზარი დახურული იყო და დაახლოებით 15 კომპანიას ჰქონდა გადანაწილებული. საინტერესოა, რომ ამ კომპანიებს იურისტები და ბუღალტრებიც კი საერთო ჰყავთ! ეს

## რა მიზეზით ჩაშალა მთავრობამ სახელმწიფო ტენდერები და რა დეცადებს უმხედს „ვერსიას“ შესყიდვების შესახებ კანონის ერთ-ერთი ავტორი



ერთი ხელიდან მართული ბაზარია, ამიტომ კონკურენციის კანონის ამოქმედებისთანავე, აუცილებელია, კონკრეტული შემთხვევები კომპლექსურად განვიხილოთ და კვაზისტრუქტურებს, რომლებიც კომპანიები კი არა, ფულის „მრეცხავები“ არიან, სახელმწიფო ფულის არაეფექტურად ხარჯვის საშუალება არ მივცეთ. ვერ ვიტყვით, რომ ეს კომპანიები ასოცირებულები არიან ნაციონალურად — ესაა მენარმეთა კლასი ან ფენა, რომელიც ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, ცდილობს ჩინოვნიკებს შორის ლობისტები მოიპოვოს, რათა ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა შეინარჩუნოს. ნაციონალური მოძრაობა შესანიშნავად იყენებდა მათ და ბაზარზე მონოპოლიურად მაღალ ფასსაც იჭერდნენ. ძველი ტენდერები ისე ტარდებოდა, თუნდაც ხელშეკრულებები ისე იყო შედგენილი, არ გავგეჩერებინა და ახალი არ გამოგვეცხადებინა, ავტომატურად, ძველი სისტემის მკვებავებზე ვიქცეოდით. გარკვეულმა ფენამ ხელი ასე მოითხო: ელექტრონული ტენდერების აწყობის სისტემა მიიღო და დღემდე მერაბიშვილამდე, უგულავამდე, ან სააკაშვილამდე, ბოლო ნაკადი კი პარტიის საერთო ყულაბაში გროვდებოდა. მართალია, ეს გვარები „ბაზარს“ ჩამოშორდნენ, მაგრამ ტენდერებში მონაწილე კომპანიებმა, გარკვეული ინერციითა და პირადი კავშირების, ანუ „გრუზინული პადხოლის“ საშუალებით, ფულის ეს ნაკადი საკუთარი ჯიბეში მიმართეს. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური ფული ბიზნესში ჩაბარუნეს. რა თქმა უნდა, მთავრობა ვალდებული იყო ხელახლა გამოეცხადებინა ნამდვილი ტენდერები, მაგრამ ამისთვის არც კონკურენტი კომპანიები იყვნენ მზად და არც ისინი, რომლებიც სახელმწიფო ჩინოვნიკებს შორის მუდმივად ლობისტებს ეძებენ. ამიტომაც ვამბობ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართვა პოლიტიკური ნებაა და არა მხოლოდ ეკონომიკური აქცია“.

თემურ ხომერიკი „ვერსიასთან“ საუბრისას იმასაც აცხადებს, რომ 2015 წელს, 2004 წელზე უარესი კანონი არ უნდა გვექონდეს. არ შეიძლება, შესყიდვების სააგენტო, რომელსაც საკმაოდ სერიოზული შემოსავალი აქვს, ტენდერში მონაწილეობის მსურველ კომპანიას, თუნდაც რეგისტრაციის ღირებულებას ახდევინებდეს. ხომერიკის თქმით, განვლილი 9 წლის განმავლობაში, შესყიდვების სააგენტო პრივილეგიურულ მდგომარეობაში მყოფ სტრუქტურად ჩამოყალიბდა. არადა, სახელმწიფო შესყიდვებისა და დაკვეთების ბაზარზე, ამ სააგენტოს ეფექტური რეჟიმი უნდა დაეცვა, მაგრამ რეალურად, ეს სტრუქტურა თვითონ იქცა მსხვილ მონოპოლისტად, რომელმაც საკმაოდ მაღალი ფასები დაანება.

ბიზნესის მთავარი პრობლემა ელექტრონულ აუქციონზე დაბალი ფასის შეთავაზებაა, რაც მომსახურების ხარისხს აგდებას. ტენდერში გასამარჯვებლად, კომპანია იძულებულია, საწყის ფასზე ნაკლები შესთავაზოს. ხშირად, შესრულებული საშუაოს, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურულ პროექტებში, არც ისე ხარისხიანია, როგორც უნდა იყოს: „მხოლოდ ფასის

კომპონენტის გამო რომ ცხადდება კომპანია ტენდერში გამარჯვებულად, არასწორია. თუმცა ვერ დავთანხმები იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც ელექტრონულ ტენდერებში სხვადასხვა მარჯვენებლების შემოღება სურთ. ხანდახან ორეტაპიანი აუქციონიც უნდა ჩატარდეს, პირველ ეტაპზე კონცეფტია უნდა შევერდეს და კომპანია შეთავაზებული ხარისხის გამო შეირჩეს, მეორე ეტაპზე კი — ფასის მიხედვით. მთელ მსოფლიოში, ელექტრონული ტენდერები აგებულია იმაზე, რომ ბიუჯეტს ეკონომია მოუტანოს, ბიზნესისთვის კი სახელმწიფო შესყიდვები იმითმანა საინტერესოა, რომ რაც უნდა მოხდეს ქვეყანაში, მთავრობა ფულს გარანტირებულად იხდის. უბედურება დაბალი კი არა, დაუსაბუთებელი, ანუ ირეალური ფასია, რაც არასრულფასოვნად შესრულებულ საშუაოს უკავშირდება. კორუფცია, გაუმჭირვალეობა და არაეფექტურობა იწყება შესყიდვის ან ტენდერის გამოცხადებიდან კი არა, ბიუჯეტისა და ტენდერის დაგეგვიდან. თავიდანვე არ უნდა ჩიოდო მქვანიში, რომელიც ამა თუ იმ კომპანიას მანიპულირების საშუალებას მისცემს. სამწუხაროდ, დღევანდელი კანონი შესყიდვების შესახებ, თავისუფლად იძლევა ამ ტიპის მანიპულირების საშუალებებს. შესყიდვების კანონის გაუმართაობის მიზეზი ის არის, რომ მასში ცვლილებები ფრაგმენტულად შედის და არა კომპლექსურად. თუმცა ამ ქვეყნის მთავარი პრობლემა კანონი კი არა, ისაა, რომ ნამდვილი მენარმე, ინიციატორ-ბიზნესმენი არ გვყავს. ამის გამო შემრისხავენ და არ მოეწონებათ ასეთი განცხადება, მაგრამ თითოეულმა ჩახედოს თავის ბიოგრაფიას! ახლა ყველა ბიზნესმენი ითხოვს ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. ამბობენ, რომ ქონება წაართვეს, მაგრამ როგორც კი ჰკითხავთ, თავიდან როგორ მოგვცეს ეს ქონებაო, გარბიან. ვიღაცის ლობისტების გამო, ან იმის გამო, რომ კონკრეტული ჩინოვნიკი ნილში ჩაისვებს, მიიღეს ქონება, რომელიც მოგვიანებით, დაკარგეს და ახლა იმავე მქვანიში სურთ მისი დაბრუნება“.

თემურ ხომერიკის განცხადებით, თუნდაც ამ კანონმდებლობის ფარგლებში, დღეს არცერთ ორგანიზაციას არ აქვს იმის პრობლემა, კარგად დაგეგმოს თავისი შესყიდვები. მისი თქმით, მართალია, შესყიდვების შესახებ კანონი ცალკეულ სტრუქტურებს „გასაძრომის“ საშუალებას აძლევს, მაგრამ ელექტრონულ ტენდერში მონაწილე ვერცერთი სტრუქტურა, თუ ბიზნესი მთავრობისკენ ხელს ვეღარ გაიშვებს. თემურ ხომერიკი ამბობს, რომ დღეს სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი თავისუფალია, ზემდგომ ემელონებში სქემები აღარ მოქმედებს, რაც ბიზნესს პოლიტიკური ფულის „რეცხვის“ საშუალებას აძლევდა. თუ ბიზნესი შეეცდება, ისევე მეთოდებით ეძებოს კანონში „გასაძრომი“, მთავრობის ჩინოვნიკებს ნურაფერს დააბრალებენ. თემურ ხომერიკის განცხადებით, თავისი შინაგანი ბუნებით, ჩინოვნიკები არ იცვლებიან, სისტემა იცვლება, ხელისუფლებამ კი ელექტრონულ ტენდერებში დამკვიდრებული მახინჯი სისტემა უკვე შეცვალა.

## პერსონალი

### ირაკლი ლარიბაშვილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლებს შეხვდა



საუბრის მთავარი თემა ის ნაბიჯები იყო, რომელიც საქართველომ ბოლო პერიოდში შრომითი კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით გადადგა.

პრემიერმა ორგანიზაციის გენერალური დირექტორის სპეციალურ მრჩეველს, კარი ტაპიოლას ინფორმაცია მიანოდა იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა შრომითი უფლებების ეფექტური ინსტიტუციური რეფორმირების მიზნით, აძლიერებს სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას, რომელსაც ირაკლი ლარიბაშვილი ხელმძღვანელობს.

ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიზანია, ეს პლატფორმა მხარეებს შორის ნაყოფიერი დიალოგის კონსტრუქციულ მექანიზმად გამოიყენოს.

მთავრობის მეთაურმა კარი ტაპიოლას მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს შრომითი საკითხებთან დაკავშირებული რეფორმებისას უწევს.

„პირველი“



რამდენიც უნდა ამტკიცონ, ასე არ ხდებაო, ფაქტია, ძალოვანი სტრუქტურები მაქსიმალურად ცდილობენ, აგენტურული ქსელი ფართოდ ჰქონდეთ გაშლილი და ხელი (უფრო ზუსტად ყური) ყველაფერზე მიუწვდებოდეთ. სწორედ აგენტურული ქსელის მეშვეობით ხდება ერთი შეხედვით გაუხსნელი საქმეების გახსნა და დაგეგმილი დანაშაულების აღკვეთა.

ყველაზე მეტად აგენტურა სასჯელსრულების სისტემას სჭირდება. მიზეზი მარტივია — კრიმინალები მუდამ იმაზე ფიქრობენ, სასჯელის მოხდა როგორ შეიმსუბუქონ და როგორ მოიხსონ „კომფორტი“. მათი კომფორტი კი, პირდაპირაა მიბმული დანაშაულების ხელმძღვანელთა დისკომფორტზე, ამიტომ პატიმრებს შორის ადმინისტრაციის ბევრი აგენტი ჰყავს (იდეალურ შემთხვევაში, თითო საკანში ერთი მაინც). სანაცვლოდ, ეს აგენტები, თავის დროზე იღებენ ე.წ. უდოს და არცთუ იშვიათად, შეწყალებითაც გადაიან. გააჩნია, მათ მიერ მინორდებული ინფორმაცია რამდენად ღირებულია. ყოფილა შემთხვევა, პატიმარ აგენტებს გაქცევა ჩაუშლიათ და რომელიმე პატიმრის მონაცემებით მანამდე გაუხსნელი საქმე გახსნილა.

მედალს მეორე მხარეც აქვს და იმ შემთხვევაში, თუ პატიმრებმა აგენტი გაშიფრეს, შავ დღეში ადგებიან. ყოფილა შემთხვევა, მისთვის ყური, ცხვირი ან სხეულის სხვა ნაწილები მოუჭრიათ, სამუდამო დაღი დაუსვამთ...

გლდანის ციხეში პატიმრებს შორის ნდობა თითქმის არ იყო. საკანში მოხვედრილი პატიმარი მაქსიმალურად ცდილობდა, ურთიერთობაში არავისთან შესულიყო და თუ ისე მოხდებოდა, რომ შემთხვევით ერთსა და იმავე საკანში ნაცნობები ან მეგობრები აღმოჩნდებოდნენ, ადმინისტრაციას ოპერატიულად მოქმედება და კამერას შლიდა. ვინც ეს არ იცოდა, ადვილად იპიფრებოდა, ნაცნობს სიხარულით გადაეხვეოდა და მეორე დღეს სხვა კამერაში გადაჰყავდათ. წინა ხელისუფლების პირობებში, გლდანის ციხეში არ არსებობდა კამერა, სადაც ადმინისტრაციას ჩამშვები არ ჰყავდა და ისიც ვთქვათ, რომ ასეთი პატიმრების პირად საქმეში სპეციალური აღნიშვნა იყო. ციხიდან ზონაზე გადასულ ჩამშვებს ადმინისტრაცია აიძულებდა იგივე ეკეთებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საიდუმლოს გათქმით ემუქრებოდა და ასე ხდებოდნენ ციხის „ნასედები“ ზონის „ნასედებად“.

პატიმარი №0578 გლდანის ციხეში პირველ კორპუსში იხდიდა სასჯელს. როცა საკანში შეიყვანეს, სხვებთან ერთად მავშობის მეგობარი დანინახა, სახე გაუბრწყინდა, მაგრამ მეგობარმა ყურადღება არ მიაქცია და №0578-მაც, ვითომც არაფერი, ზედაც არ შეხედა. მას შემდეგ კი, რაც ოფიცერი კამერიდან გავიდა, მეგობარმა ხელი ჩამოართვა, „გაიცნო“ და ისევე ოფიცერს დაუძახა.

„ახალმოსულს არაფერი აქვს, აგერ ჩემი ლარიოკის კარტა, ვინმე გაუშვი, კბილის ჯაგრისი, საპონი და სხვა რამეები ამოუტანოს. მეერ, როცა კარტას დაუმზადებენ, ვალს დამიბრუნებს“, — უთხრა ოფიცერს და მშვიდად ჩამოჯდა ნარზე. №0578 გვერდით მიუჯდა და ჩუმად ჰკითხა: „რა ხდება აქ?“

„ერთმანეთს არ ვიცნობთ. ახლა რომ ჩვენ გაგაიასნოთ ჩვენი მეგობრობა, ხვალ სხვაგან გადაგიყვანენ. ახლიდან გავიცნოთ ერთმანეთი, ახლიდან დავემეგობრდეთ“, — ჩუმად უპასუხა ლევანმა და №0578-აც თავი დაუქნია.

დღეები დღეებს მისდევდა. ნელ-ნელა კამერა ერთმუშტად შეიკრა. ადმინისტრაციამ რამდენჯერმე დააპირა პატიმრების გადანაწილება, მაგრამ ნაცნობების წყალობით ლევანი და №0578 ახერხებდნენ ერთად დარჩენას. ერთ დღეს, საკნის კარი გაიღო და ადმინისტრაციამ ახალი პატიმარი შეიყვანა. ახლადმოყვანილი, მარნეულელი აზერბაიჯანელი ბიჭი იყო,

# „ნასედების თარეში“ ზონაზე

## როგორ გაახსნევინა ციხის ადმინისტრაციას აგენტმა 13 საქმე 13-ნდიანი „სროკის“ სანაცვლოდ



21 წლის და როგორც თავად თქვა, მოქალაქის დაჭრის გამო დაიჭირეს.

„ბებიჩემი ბაზარში მწვანის ჰყიდის. იქ ვიყავი. ვილაცამ აგინა, მერე ხელი დაარტყა და აბა, რა უნდა მექნა?! ავიღე დანა და დავეჭრი“, — მურაფისამ (ასე ერქვა აზერბაიჯანელს) ეს ამბავი რუსულ-აზერბაიჯანულს ნაზავით მოჰყვა და ისიც თქვა, რუსული ცუდად ვიცი, ქართულზე ხომ საუბარიც უნდებოდა და ეგებ, ადმინისტრაციამ რომელიმე აზერბაიჯანელთან ჩამსვასო. ლევანმა და №0578-მა ადმინისტრაციას მაშინვე სთხოვეს, ამ ბიჭს რამე უშველეთ, მთელი დღე მუნჯივით უნდა იყოს კამერაში, ვერაფერს ვაგებინებთო, მაგრამ მათ ყური არ შეიბერტყეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ლევანმა მეგობარი გაიხმო და მშვიდად უთხრა: „ეს აზერი არ მომწონს. თითქოს ერთი ბრიყვი სოფელაა, მაგრამ ხანდახან მეჩვენება, ქართულ საუბარს ყურს უგდებს. ანეკდოტებს რომ ვყვებოდით წინა დღეს, ეგ იწვია და რამდენჯერმე გაელიმა. ქართულის გაგებაში არ ვარო და ანეკდოტებზე კი იციან. ნასედკას ჰყავს და თუ გავშიფრე, ამის კვილს გავაგონებ მარნეულში“.

რამდენიმე დღის შემდეგ, №0578 ნარზე იყო წამოწოლილი და წიგნს კითხულობდა. მაგიაზე ერთ-ერთი ჟურნალი ეგდო გადაშლილი და მურაფისა კამერაში მიმოდიოდა. უცებ №0578 ნარიდან ჩამოხტა, ლევანს თვალით ანიშნა და აზერბაიჯანელი პარაშაში შეათრია.

„ახლა მომისმინე, შე ნაბიჭვარო. დაგინახე ჟურნალს რომ ჩაუარე, რამდენჯერმე თვალი შეავლე და ტუჩები აამოძრავე. კითხულობდი, შე ბოზო, ქართულად კითხულობდი. თუ არ გინდა, ამ პარაშაში დაასრულო შენი დამპალი სიცოცხლე, ხვალ, პრავერკაზე რომ გავალთ, უკან აღარ შემობრუნდები. ოფიცერს ეტყვი, რომ ექიმთან გინდა და მიგიხვდება მარტივად, რაც გჭირს. ახლა ხმაურს თუ ატყვ, ვერ მოგისწრებენ ცოცხალს, გახსოვდეს ეს“, — მუქარით უთხრა №0578-მა.

„რაა?! ჟურნალს კითხულობდა?! ხომ გითხარი, ნასედკაა, მე ამის ბოზი დედაც“, — იღრიალა ლევანმა და რამდენადაც შესაძლებელი იყო, აზერბაიჯანელს მუშტი ჩააზილა. მიხვდა მურაფისა, კარგი დღე არ დამადგებაო, პარაშადან გამოვარდა, კარს თავით დაეტაკა და ღრიალი ატყვა, მიშველეთ, მკლავებო. თანაც, ამას ისეთი სუფთა ქართულით გაიძახოდა, დანარჩენმა პატიმრებმა პირი დააღეს.

აზერბაიჯანელს წარბი გაუსკდა და სისხლი თქრიალით სდიოდა. როცა ოფიცერმა კამერაში შემოიხედა, კინალამ გული შეუწუხდა — სისხლში მოსვრილი ნასედკა გოჭივით ყვიროდა და მაშინვე რეჟიმს უხმო.

„რა ხდება აქ?!“ — ღრიალით შემოვარდა კამერაში რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაცია და თან ათამდე ნიღბიანი მოიყოლა. „თავად მოყვეს“, — მშვიდად თქვა №0578-მა.

„არაფერი, უფროსო, კარს დავეჯახე, მერე სისხლი რომ დავინახე, შემეშინდა“, — ჩუმად ჩაილულულა მურაფისამ. „რატომ არ ამბობ, რომ ამ ორმა გცემა?!“ — უღრიალა ფაცაცია, ლევანზე და მის მეგობარზე მიანიშნა და აზერბაიჯანელს ისეთი შემოჰკრა, ტუჩი გაუხეთქა.

„არა, ამათ არა.. არ უცემივარ, ჟურნალი ნავიკითხე, დაინახეს... რა ჩემი ბრალია, დავილაღე. არ აფუჭებენ ესენი არაფერს“, — მოთქმით დაინყო ტირილი მურაფისამ და კამერიდან გაათრია...

ზონაზე გადაყვანის შემდეგ, №0578 ამბავი მაცურებლების კამერაში მოჰყვა. მათ ბევრი იცინეს, მერე კი ზონის მაცურებელმა ღიმილით თქვა: „გეთი მურაფისები აქაც ბევრი გეყოლება და ფრთხილად იყავი. გამორიცხულია, შენს კამერაში ვინმე არ იყოს. ერთადერთი კამერა, რომელზეც არავის ეეჭვება, ჩვენია. ყველა დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და აქ ლალატი გამორიცხულია“...

„ჰო, ეგ ვიცი. ისე, დიდი სროკის გამო, გამიგია, კანონიერი ქურდებიც გაბოზებულანო და მანცდამანც თავს ნურაფერზე დადებ“, — გაუღიმა №0578-მა.

„შენ ახლა მაცურებლის ძმაკაცია რომ არ იყო, მაგ სიტყვებზე პასუხს მოგთხოვდით და რომ ვერ ახსნიდი, დილაამდე გიტყაპუნებდით. ეგ ისე, ცნობისათვის“, — გასძახა ნარზე წამოწოლილმა შაკომ.

„ბატონო შალვა, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ რას ვერ ავხსნიდი?!“, — კითხვა დაუბრუნა №0578-მა.

რას და იმას, რომ ამ კამერაში ჩამშვებია“, — შაკო ნარზე ნამოჯდა და დამარცვლით მიაკოლა. „გა-ი-გე, ძმო?!“

„როგორ არ გავიგე, მაგრამ მე არ მოთქვამს, აქ ჩამშვები გიზით-მეთქი. აღვნიშნე, დიდი სროკის გამო ქურდებიც გაბოზებულან და თავს ნურაფერზე დადებ-თქო. არც კამერა მისხენებია და არც ამ კამერაში მყოფი პატივსაცემი საზოგადოება. ასე რომ, დილაამდე ტყაპუნე არც სხვა შემთხვევაში გამოვიდოდა“, — გაუღიმა შაკოს პატიმარმა და კამერიდან გავიდა.

\*\*\*

ზონაზე ხმა გავარდა, სპეცშენაკლებით რამდენიმე პატიმარს უშვებენო და ყველა მოლოდინში გაიტრუნა. იცოდა ხოლმე წინა ხელისუფლებამ ასე, რომელიმე პატიმრის ოჯახის წევრები ან დიდ ფულს იხდიდნენ, ან კიდევ კონკრეტული პატიმარი კონკრეტული საქმისთვის სჭირდებოდა. იყო მესამე ვარიანტიც — თუ რომელიმე პატიმარი ძალიან დიდ საქმეს გახსნიდა და სანაცვლოდ თავისუფლებას მოითხოვდა, პრეზიდენტი შეწყალებას არ ამაღლიდა.

რუსთავის №17 დანესებულების დირექტორი ლაშა ბრეგვაძე ზონაზე გესლიანი ღიმილით გადმოვიდა. მშვიდად დააბიჯებდა სათამაშო მოედანზე და მაცურებლების კამერის ბინადრებთან ელაოდა. მაცურებლები გავიხდნენ, ლაშას მიესალმნენ... ხმა ზონის პირველმა პატიმარმა ამოიღო: „სპეცშენაკლება მოვიდა ორი. ასე ამბობენ. რით დავიმსახურეთ პრეზიდენტის ესოდენ მაღალი ყურადღება?!“

„შენს ადგილზე ასეთ კარგ ხასიათზე არ ვიქნებოდი. ამ ორიდან ერთი ჩვეულებრივი, მაცურების თემაა, აი მეორე კი... აბა, თუ მიხვდები, რომელი საკნიდან გადის პატიმარი?!“ — გაუღიმა ლაშამ.

„მაგას რა მნიშვნელობა აქვს?!“ — დაიძახა მაცურებელი.

„ის მნიშვნელობა აქვს, რომ ერთ-ერთი შენი საკნიდან არის. ზუსტად ნახევარ საათში ნავიყვან, საბუთებს ამზადებენ უკვე. აბა, არ მოიხსენოთ, კაიბიჭებო“, — გადაიხარხარა ბრეგვაძემ და ზონის შიდატერიტორიიდან გავიდა.

ზონა კრახანის ბუდე დაემსგავსა. ნათქვამი ელვის სისწრაფით მოედო იქაურობას. მაცურებლების კამერაში ექვსი კაცი იჯდა და ექვსივეს ქურდობა უნდოდა. შეწყალებით გასვლა კაიბიჭობის დასასრულს ნიშნავდა და ამას გარდა, ტყუილად რომ არავის გაუშვებდნენ, ისიც მარტივი მისახვედრი იყო. ნახევარ საათში არაფერი გაირკვა. ექვსივე ერთმანეთს უყურებდა და იგინებოდა, მე არ გავდივარ, მე არ გავდივარო. ზონა დაკეტეს, მაცურებლების კამერაც დაიკეტა და დაწესებულებაში რეჟიმის ათამდე თანამშრომელი შემოვიდა. მალე პატიმრებმა ფანჯრიდან დაინახეს, რომ ეზოში ვილაც სირბილით გაატარეს, მას მეორე მიჰყვა, მესამე და ასე, ექვსივე. მაცურებლების კამერა პრაქტიკულად დაიცალა და ვერავინ მიხვდა, რეალურად რა მოხდა.

შენწყალებით შაკო გაუშვეს, 13 წელი ჰქონდა დარჩენილი და თითო წელზე თითო საქმე მოსთხოვეს. ახლა დანარჩენებს სროკს დაუმატებენ, 13 საქმე გაახსნევინა იმ ნაბოზვარმა“, — ეს სიტყვები ქუთაისის რეგიონის მაცურებელმა მეორე დღეს სხადნიაზე თქვა.

მართლაც, სპეცშენაკლებით თავისუფლებაზე სწორედ შაკო გავიდა, დანარჩენებს კი სასჯელის სხვადასხვა ზომა დაუმატეს. ყველაზე მეტი მაცურებელს ერგო, რომელსაც ქურდობის ოთხი ფაქტი გამოუშპარავეს და შეკრებილობის პრინციპით დარჩენილ ექვს წელს 12 მიამატეს.

### პერსიანიუსი

## შს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე პირი დააკავა

შს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, 1959 წელს დაბადებული ოთარ ნაკანი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთარ ნაკანმა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, კერძო კომპანიის წარმომადგენელს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დარღვევით შესრულების შემდეგ, კომპანიის შავ სიაში შეუტანლობის და მომავალში შესრულებული სამუშაოების მუნიციპალიტეტისთვის უპრობლემოდ ჩაბარებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 2 000 ლარი.

გამოძიება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.



„ვერსიანიუსი“

## შს-მ 50 აბი „ექსტაზი“ ამოიღო



შს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს გონიოს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე ოზგურ რ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 50 აბი ნარკოტიკული საშუალება „ექსტაზი“ ამოიღეს, რომლის საერთო წონა, ექსპერტიზის დასკვნით, 14,836 გრ-ია და 0,6 გრ მეტამფეტამინს შეიცავს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ასევე ამოიღებულა 20,481 გრ გამომშრალი მარიხუანა.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის და საქართველოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“



# ლატვიის ელჩის პრაქტიკული ინტერვიუ

## ელიზა გაველი: „იმედია, თამარ ბერუჩაშვიდი, „დიპლომატ ქალთა მცირე საზოგადოების“ წრადიციას არ უღადაცებს“



**მასპა ლომასიძე**  
555-27-95-13

**მისი აღმატებულება, ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქალბატონი ელიზა გაველი უკვე სამი წელია საქართველოში ჩამოვიდა. იგი საქართველოში აკრედიტებული ქალ დიპლომატთა კვარტეტის (ლატვია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) ლირსული წევრია. რა ტრადიცია დაამკვიდრეს მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა ელჩებმა საქართველოში საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან ერთად, როგორია დიპლომატი ქალის ერთი ჩვეულებრივი დღე და რატომ მოგვიწოდებს აჭარასა თუ კახეთში გოლფ-კლუბის გახსნისკენ ლატვიის ელჩი საქართველოში? ელიზა გაველია ქვეყნის ექსპერტიზის ინტერვიუ, ნახსენებს, საახალწლო მილოცვით დაიწყო.**

— მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი და ძველით ახალი წელი, რომელსაც ჩვენში არ აღნიშნავენ. როგორც დანარჩენ ევროპაში, ლატვიამაც შობა მთავარი დღესასწაული და მას, აუცილებლად ოჯახთან ერთად ვხვდებით. ახალი წელი კი, უფრო „გარე ზემოა“, რომელსაც მეგობრებთან ერთად ვეგვიბით. ბევრი ლატვიელი საზღვარგარეთაც მიდის, რადგან ჩვენს ქვეყანაში გრძელი და მკაცრი ზამთარი იცის. მიუხედავად იმისა, რომ ახლა რეგულაციები არ ცივად და მხოლოდ -1 გრადუსი ცელსიუსი ფიქსირდება, თოვლი 3-4 თვე არ დნება. ასე რომ, გვშურს იმ ქვეყნების მოქალაქეების, სადაც ზამთარში შედარებით სითბოა. მათ შორის — თქვენიც. მითუმეტეს, შესანიშნავი მთები გაქვთ, სადაც შეიძლება ისრიალო... მსურს, მხოლოდ სიკეთე ვუსურვო ქართველებს. ეს ქვეყანა ძალიან შემეხარება. თუმცა, ახალ წელს ქალიშვილსა და მეგობართან ერთად სამირობეში შევხვდი — ცხელი და გავიწყდეთ. კარგად დავისვენეთ. ამ ქვეყანაში პირველად ვიყავი. უდაბნოში გავისვირინეთ. საინტერესო იყო — განსხვავებული კულტურა, საკვები და ეგზოტიკური ახალი წელი... ჩემმა გოგონამაც ისიამოვნა. რაც შეეხება შობას, მას წელს პირველად შევხვდი დედის გარეშე, დიდ ემოციებში ვიყავი და გრანდიოზულად არც არაფერი აღვიწინავეს.

**— საქართველო პირველი ქვეყანაა ხომ, სადაც ელჩის რანგში ჩამოვრდებით?**

— ასეა, თუმცა ეს ქვეყანა მხოლოდ ამიტომ კი არა, თქვენი სითბოს, სტუმართმოყვარეობის გამოც მიყვარს. სამი წლის განმავლობაში, ბევრი ცვლილება გამოიარა საქართველოში — არჩევნები მაქვს მხედველობაში. ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო, რომ ჩვენი პრეზიდენტის პერიოდში (ლატვია წელს ევროკავშირის საბჭოს სამრეზიდენტო ქვეყანაა, — ავტ.) საქართველო მაქსიმალურად კარგად წარმოვაჩინო ევროპულ არენაზე.

**— რა შეიცვალა თქვენთვის მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოვრდებით... ადვილად შეეჩვიეთ აქაურობას?**

— ახლა ბევრად მეადვილება მუშაობა, ვიდრე პირველ წელიწადს. უკვე ყველას ვიცნობ. უკეთ ვიცი ქართული ადათ-წესები და ტრადიციები. ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისთვის ვიყავი მზად, ვისაც ჩემთან ენდომებოდა თანამშრომლობა. განსაკუთრებით ურთიერთობებთან, რადგან თავად ვარ გახსნილი ადამიანი — საზოგადოებასთან ურთიერთობების

ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ესეც მეხმარება. სხვა-თამარის, პირველი ურთიერთობები, ვინც დამიკავშირდა, თქვენ იყავით და წელსაც, ექსპლუზივს თქვენ გაძღვეთ.

აქ ყოფნის ყველა წელი ძვირფასი და ნაყოფიერი იყო. მახსოვს, რომ ვინცედი, 2012 წლის დასაწყისში, საელჩოს ახალი შენობა გავხსენით. ბევრი გაცვლითი ვიზიტი იყო — ლატვიის უმაღლესი პირები ჩამოვრდნენ და ქართველების ვიზიტებიც იყო ლატვიაში. ახალი მთავრობა, ახალი პრეზიდენტი აირჩიეთ, ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა... ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ჩვენ, ყველანი, ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ამ მოვლენებს.

დაგეგმილია კულტურული პროექტები, კონფერენციები... მალე სოფელ დიკში საბავშვო ბავშვთა ცენტრი გაიხსნება, რომელსაც ლატვიის მხარე აღჭურვავს შესაბამისად. ვცდილობთ, რითიც შეგვიძლია, დავხმარდეთ ადამიანებს. ჩემს ქვეყანას უმნიშვნელოვანესი და რთული წელი ელის — ევროკავშირის ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა ლატვიაში გაიმართება. შესაბამისად, ლატვიის საელჩო საქართველოში, რომელიც სომხეთსაც ფარავს, სრული დატვირთვით იმუშავებს.

**— დიპლომატის ერთი დღე როგორია?**

— დილაობით, საელჩოში ხშირად გვაქვს ბრენსტორმინგი — „ბრწყინვალე იდეების ჩამოყრის პროცესი“. მაგალითად, გუშინაც ასე იყო. მუშაობა 9 საათზე დაიწყო. შემდეგ მქონდა შეხვედრა სომხეთის ელჩთან საქართველოში. ჩემთვის მასთან რეგულარული შეხვედრები მნიშვნელოვანია, რამდენადაც გაცვლითი ნლიდან, სომხეთის არარეზიდენტი ელჩიც ვარ და ამ ქვეყანასთან დაკავშირებით, ყველაფრის საქმის კურსში უნდა ვიყო. ასევე, შეხვდები ნორვეგიის ელჩს აზერბაიჯანსა და საქართველოში, რომელიც ბაქოში ზის და ახალჩამოსულია. შემდეგ — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, რადგან ორი წლის წინ, ზუგდიდი და იურმალა დამოუკიდებელი ქალაქები გახდნენ. შემდეგ, იყო შეხვედრა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან. მერე მიღება პრეზიდენტთან, სადაც გიორგი მარგველაშვილმა ოფიციალურად გამოაცხადა 2015 წლის წლად. სადამოს კი, თქვენმა სამაყო სოლისტმა პაატა ბურჭულაძემ, სუბივილების ნაციონალური ბალეტის საქველმოქმედო წარმოდგენაზე დამპატიჟა. სამუშაო დღე, 14 საათში, ღამის 11 საათზე დასრულდა.

**— დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, რა თქმა უნდა, თავისუფალი დროც გაქვთ. უქმეებს სად და როგორ ატარებთ?**

— ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ვცდილობ, 2-3 დღე მაინც თუ მაქვს დასვენება, სამშობლოში ჩავფრინდე. თუ საქმიანი ვიზიტია, კიდევ რამდენიმე დღეს გადავავაბამ ხოლმე, მეგობრებს ვხვდები.

**— მოკლედ, ნოსტალგია განუხებთ?**

— დიახ. ვფიქრობ, ნოსტალგია, პატარა ერების თვისებაა. დიდხანს ვერ ვძლებთ სხვაგან. რამდენიმე დღით მაინც აუცილებლად უნდა ჩავიდეთ სამშობლოში, ოჯახის წევრებისა და მეგობრების სანახავად. სხვაგვარად არ შეგვიძლია... ჩემთან ბევრი სტუმარი მოდის. თავისუფალ დროს მიყვარს კითხვა, მუზეუმებში და კონცერტებზე სიარული. ვალდებულ ვარ თქვენი მშრალი ხიდის ბაზრობას. იქ იმდენი ანტიკვარი მაქვს შექმნილი! დიდ სიამოვნებას მანიჭებს ახალი ნივთების აღმოჩენა. ამ ბოლოს, რამდენიმე ქართული ფარდაგი შევიძინე. ასევე მიყვარს ფაიფურის ნაკეთობები. მიყვარს თხილამურებით სრიალიც. ადრე, ძალიან დიდი თოვლი იყო გუდაურში. ახლა ამბობენ, ზომიერადაა და ალბათ, მეორე უიქენდზე წავალთ. თუმცა, ყველაზე მეტად გოლფის თამაში მიყვარს და ბევრი თავისუფალი დრო რომ მქონდეს, სულ ვითამაშებდი. ბედნიერი ვარ მას შემდეგ, რაც ამბასადორ გოლფ-კლუბი გაიხსნა. მისი მე-15 წელი ვარ. ეს არის ჩემი საუკეთესო განტვირთვა საქართველოში, მით უმეტეს, ხარისხიანი გოლფ-კლუბია. იქვეა პატარა სასტუმრო, რომელიც, თუ ორი თავისუფალი დღე მაქვს, ღამეს ვათევ. ლატვიაში 5-6 გოლფ-კლუბი გვაქვს. დაახლოებით ასევეა ლიტვასა და ესტონეთში. საქართველოში ყველას ვუბნებთ: გახსენით გოლფ-კლუბი აჭარაში, კახეთში... ეს ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და აუცილებლად გაზრდის მათ რიცხვს.

**— ვინ არიან თქვენი მეგობრები საქართველოში, ვისთან ერთად თამაშობთ აქ გოლფს?**

— შემიძლია მარტომაც ვითამაშო, რადგან საუკეთესო მოთამაშე ნამდვილად არ გახლავართ! მეტი პრაქტიკა მჭირდება. ძალიან უყვარს გოლფის თამაში ნიდერლანდების ელჩს, ასევე — ბიზნესმენების წარმომადგენლებს. ცხადია, ერთმანეთს ვიცნობთ. შეჯიბრებებსაც აწყობენ. რაც შეეხება ქალბატონ დიპლომატებს, ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს იტალიის ელჩთან, ფედერიკა ფავისთან, რომელიც ჩემზე ოდნავ ადრე ჩამოვიდა საქართველოში სამუშაოდ. დღეს, სულ 4 ქალი ელჩი ვართ. ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან ერთად ჩამოვაყალიბეთ „დიპლომატ ქალთა მცირე საზოგადოება“. ვიმედოვნებ, ახალი მინისტრი თამარ ბერუჩაშვილიც, რომელიც ასევე ძალიან ჭკვიანი და თანება-გახსნილი ქალბატონია, არ უღალატებს ამ ლამაზ ტრადიციას და ჩვენ, ქალბატონი დიპლომატები, ისევ დავსხდებით ხოლმე ერთად, რათა ვისაუბროთ პოლიტიკასა თუ სხვა საკითხებზე.



### ევროკავშირი გარეგნობის წინააღმდეგ კოალიციის შექმნას გეგმავს

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისიის ფედერიკა მოგერინი, რამდენიმე მუსულმანურ სახელმწიფოსთან ერთად, ანტიტერორისტული პროექტის განხორციელების ინიციატივით გამოდის. ბრიუსელში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ მოგერინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირი ზოგიერთ ქვეყანასთან ერთად ანტიტერორისტული საქმიანობის სფეროში თანამშრომლობის გასაღრმავებლად საგანგებო პროექტების წამოწყების საკითხს განიხილავს. ფედერიკა მოგერინიმ სავარაუდო პარტნიორ ქვეყნებს შორის თურქეთი, ეგვიპტე, იემენი, ალჟირი და სპარსეთის ყურის ქვეყნები დასახელა.

„პირველი“



### საკომუნო გარეგნობის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა

დაშავებულია უმრავლესობა კრიტიკულ მდგომარეობაშია. ინციდენტი სასამართლოს შენობასთან იმ დროს მოხდა, როცა შენობაში უკრაინული პარტია „სვობოდას“ ერთ-ერთი წევრის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა. მომხდარს უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტერაქტის კვალიფიკაცია უკვე მისცა. ამასთან, უკრაინული მედიის ცნობით, ტერაქტის ადგილზე აღმოჩინეს ნივთი რუსული სიმბოლიკით. უკრაინის პრემიერმა კი ქვეყნის დაზვერვის სამსახურთან კონსულტაციის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთის საზღვრიდან სეპარატისტების იარაღითა და სამხედრო ძალით მომარაგება ამ დრომდე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

„პირველი“



### ბასტიონი, მკვლელობის გამოძიების მიზნით, სომხეთში ჩავიდა

რუსეთის პრეზიდენტმა საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელს გიუმრიში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების მიზნით, სომხეთში სამართალდამცველებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაავალა. რუსეთის საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური წარმომადგენლის, ვლადიმერ მარკინის ინფორმაციით, „რუსეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბასტიკინს დაავალა, მჭიდროდ ითანამშრომლოს სომხეთის სამართალდამცველებთან, რათა მომხდარის გარემოებები სრულად და მაქსიმალურად ობიექტურად გამოიძიონ“.

ვლადიმერ მარკინის მტკიცებით, არ არსებობს არანაირი ეჭვი, რომ სასტიკ მკვლელობაში ეჭვმიტანილი კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. 12 იანვარს ქალაქ გიუმრიში რუსმა ჯარისკაცმა, რომელიც სამხედრო სამსახურს 102-ე რუსულ ბაზაზე გადიოდა, ავეტისიანების ოჯახის 6 წევრი, მათ შორის 2 წლის გოგონა მოკლა და 6 თვის ჩვილი დაჭრა. ექიმების ერთკვირიანი მცდელობის მიუხედავად, 6 თვის სერიოზულ ავთვისიანი საავადმყოფოში გარდაიცვალა. მკვლელობაში ბრალდებული თურქეთ-სომხეთის საზღვარზე დააკავეს. ვალერი პერმიაკოვი დანაშაულს აღიარებს.

„პირველი“



# „მე უნდა დაგიცვა, ქეთი!“ — მანანა სურმაჟა ღუმელს არღვევს

თამარ ლომსაძე  
568-34-44-94

„მე უნდა დაგიცვა, ქეთი! შენ ხომ მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით არ ყრი ხალხს თეატრიდან. შენ ხომ ზუსტად იცი ის პრიმიტიული და უტყუარი სვლები – როგორ მოსპო მსახიობი: ა) უნდა ჩაურაზო სცენაზე გასასვლელი ყველა კარი, სადაც კი ხელი მიიწვდება. ბ) არ მისცე ხელფასი. და...! მე რა ნიშნით გამავდე? ჩემი პოლიტიკური სიმპათიები ყველასთვის ნათელი იყო, ასე რომ წინა მთავრობის მომხრეობას ვერ დამბრალებ. მეგობრებო: ქეთი დოლიძე სხვა ნიშნითაც ყრის მსახიობებს თეატრიდან, მაგალითად, როდესაც იგი მოიხიბლება სხვისი სპექტაკლით. ხომ ხედავ, გიცავ, ქეთი. აბა, ჩემს გარდა სხვა შენი დამცველი ხომ ვერ იტყვის, რომ შენ ის მსახიობი გაიმეტე უსახსრობისთვის, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა მოიყვანა ამ თეატრში. იმის გახსენებაც გაუჭირდებათ, რომ ამ თეატრის ჩამოყალიბებაში რეჟისორმა კოტე სურმაჟამ, მანანას მამამ მთელი მშენებლობის სირთულეები იტვირთა – ფაქტობრივად ააშენა. იმ მსახიობს რვა მუსიკოსთან ერთად უჩერებ სპექტაკლს, რომელსაც ჰყავდა მაყურებელი, ქართული იყო. თეატრს მის შექმნაში კაპიკი არ დაუხარჯავს. დაიდგა უმოკლეს დროში და მისი წარმატება თეატრის წარმატება იყო. ხომ ვერ იტყვი, რომ მანანა ფაქტობრივად, ფულს იხდიდა იმ სცენაზე დგომაში, რომელიც მამამისმა მიხეილ თუმანიშვილთან ერთად ააშენა. და ის პატარა შემოსავალიც (20-30 ლარი თვეში), რომლითაც შუქის ფულს მაინც ფარავდა, ხელმძღვანელად დანიშნისთანავე მოუსპე – სპექტაკლი გაუჩერე, თან ჩუმად, უხმოდ და კულტურის სამინისტროს დაშვებული შტატებიდან ხელფასის ღირსი ვერ გახადე იმ ფონზე, როდესაც შენ, ხან კულტურის სამინისტრო, ხან სხვა დანესტრუქციულ გაძლევენ ვეებერთელა თანხებს და თუ დაგაკლეს, იქაურობას აქცევ. როგორ ხარ, მანანაო – მილიმი? ღმერთის წყალობით, შენ როგორ ხარ, შენ, ზურგში ჩარტყმით აღწევ პატარა მიზნებს? გეთქვა მაინც, შენი გემოვნების რა სტანდარტებს ვერ ვაკმაყოფილებდი. ჩემი დასჯით ვის დაუმტკიცე ერთგულება, დიდი-დიდი ერთ-ორ ადამიანს, დაგიფასონ მაინც... შენთვის რამხელა კომფორტი იყო, არა, ჩემი ღუმელი? მაპატიე, ყველაფერს დასასრული აქვს. ქვეყანა გიყვარს, არა, ქეთი? ქვეყანა არა, ტოროლა! საკუთარი ამბიციებითა და პატივმოყვარეობის კომპლექსით დატანჯული ადამიანი ხარ“, — ეს მსახიობ მანანა სურმაჟას ღია წერილია, რომლის ადრესატიც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძე გახლავთ. სათქმელი უკვე ვთქვი და ამის იქით სიღრმეებში წასვლას საჭიროდ აღარ მივიჩნევო, მიიხრა, თუმცა რამდენიმე კითხვაზე ჩვეული გულახდილობით მიპასუხა:

— ქალბატონო მანანა, ამდენი ხნის შემდეგ, ღუმელის დარღვევა რატომ გადაწყვიტეთ?  
— იცით... სათქმელი ძალას არ იძენდა წლების განმავლობაში — ეს ჩემი ცხოვრებაა და მისი ძლიერი ეპიზოდი, რომელიც, მინდა თუ არა, დამრჩება მეხსიერებაში და ალბათ, აირეკლება ჩემს შემოქმედებაზეც... მაშინ არ ვთქვი იმიტომ, რომ ბევრ რამეს ვეცი პატივი... ამ ყველაფრის პოლიტიზირება არ მინდოდა! 2012 წლის დეკემბერში დაინიშნა ქეთი სამხატვრო ხელმძღვანელად... მას შემდეგ ვაკვირდებოდი. არ დამინყია ურთიერთობების გარკვევა — ვაკვირდებოდი, თვეები გადიოდა, არ ვთამაშობდი... არც კითხვებს ვსვამდი... ჩემი ხმის ამოღებით ჩრდილი ადგებოდა ყველაფერს, რაც ფასეულია — ღირს კი ნებისმიერი სპექტაკლის დაცვა ამაღ? და ეს პასუხისმგებლობა ქეთისაც რომ გაეზიარებინა, კარგი იქნებოდა. ამას გავუწიე ანგარიში, თუმცა მანამდე საკმაოდ რთული გზა განველე, საკუთარ თავზე გამოვცადე სრული უსახსრობა და ეს საშინელებაა, როცა გყავს მოსავლელი ხანდაზმული ადამიანი და არ გაქვს საშუალება, მიხედო. ეს წლების წინ მოხდა და სწორედ მაშინ, ქართველი ხელოვნების უძლიერესმა ჯგუფმა მიმართა კულტურის სამინისტროს — ქართველი რეჟისორი კოტე სურმაჟა, რომელიც 80 წლის ხდება, ავად და მოგვხედეთო, მაგრამ... ეს იგნორირება მხოლოდ მამაჩემს კი არა, მათაც ეხებოდა, თურმე იმ მთავრობისთვის ეს პიროვნებები „ჩარეცხილები“ ყოფილან... წყენა ძველი მთავრობის მიმართ ძალიან დიდი მაქვს...  
— არ ნანობთ, მაშინ რომ არ თქვით ეს ყველაფერი?  
— იცით, სტრესიდან ძლიერმა და ნიჭიერმა ადამიანმა გამომიყვანა. ასე რომ, შოკისგან ნაშლილი და გაუბედურებული, თუმანიშვილის თეატრში არ მივსულვარ. 2011 წელს ჩემი სპექტაკლით მივედი რვა მუსიკოსთან ერთად, რომელსაც მაყურებელი ჰყავდა, ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით და უცებ... ხელოვნურად შეწყდა. მივხვდი, რომ იმავე სლალომს გავდივარ, რასაც უსახსრობა ჰქვია, ოღონდ ამჯერად, ქეთის ხელმძღვანელობით!  
...შიში ძალიან შეურაცხყოფელი გრძობაა. სადაც ახერხებ მის დაძლევას, სადაც ვერა. მე ღმერთმა ძალა მომცა, ეს შიში ღუმელით დამეძღა და ვარ ბედნიერი — შემოქმედება ირეკლავს იმას, რაც ხარ ცხოვრებაში... ყველა ამ თავის საქმე თვითონ იცის, ყველა თავის არჩევანი თვითონ გააკეთა. მერე კი ღუმელი, ნელ-ნელა სხვა ფუნქციას იძენს და აბსოლუტურად სხვა კატეგორიაში გადაყავხარ... ახლა, რისი თქმაც მინდოდა, ვთქვი, იმის იქით ნურაფერს ვეძებო, ერთი ფაქტია — არავის დროშას არ ამოვეფარები და არც საკუთარ პრობლემას მივატმასნებ სხვის პრობლემას, იმიტომ, რომ ესაა სხვადასხვა ისტორიები, რომლის უკანაც სხვადასხვა ადამიანები დგანან.  
— და ამაზე, რა თქმა უნდა, გულს გწყდებათ...  
— მე არ ვარ ახლა თეატრში. რა არის ეს? — ეს ისაა, რისი ჯიჯგნაც არ შეიძლება. ნუ ავადგებთ ყველაფერს მხოლოდ სკანდალზე. სხვა უამრავი რამაა ბევრად ფასეული... საერთოდ არ ვარ ის ტიპი, რომელიც ძალიანაა მიწებებული წარსულს, მაგრამ ვერასოდეს ნაწილად წარწერას მამისთვის ნაწილად წიგნზე, რომელიც მიხეილ თუმანიშვილს ეკუთვნის — გახსოვდეს, რომ მხოლოდ მოთმინება და შრომა ქმნის თუთის ფოთლისგან აბრეშუმს, წინ მშენიერებისკენ... ისინი ამ დევიზით ცდილობდნენ ეცხოვრათ და მარტო იმიტომ, მანანა თეატრში არ იყოს, მოდი, წარსულსაც გავუსწორდეთ... ასეა საჭირო?  
— ფასეულობები გადაფასდა, ქალბატონო მანანა?  
— მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლიდან მეთერთმეტეკლასელი გოგონა მოვიდა, რომელიც კონფერენციისთვის კოტე სურმაჟაზე ინფორმაციებს აგროვებდა და ერთ-ერთი



მოსწავლის დღიური უპოვიათ, სადაც კოტე სურმაჟას წერდა — კანსტანტინ ვლადიმეროვიჩი, სკაჟუ ვამ სლავამი გამლეტა — იარუჩაიუს ვაშეი ჩესტი! ესაა ფასეულობების გადაფასება?! ...ახლახან შევხვდი ახალგაზრდებს უნივერსიტეტში, არავის ვიცნობდი, მაგრამ ისეთი აზარტული იყო კითხვები, პასუხები... მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ თაობას ყველაფერი თავის ადგილას აქვს... მხოლოდ პოლიტიკოსებით არ შეიძლება ყველაფრის განსაზღვრა — ბოლოს და ბოლოს, ყველა თანამედრობის იქით დგას ადამიანი. ჰოდა, მე დავრჩე მსახიობად, არ შეიძლება?  
— გეუბნებიან, რომ არ უნდა დარჩეთ მსახიობად?  
— არა, არა... დასაცავი ხომ გამიხდა... ბუიერდობა მამაჩემი, ისე არ უნდაოდა ჩამებებებოდა თეატრალურში... მოდი, მხოლოდ კარგ ვისაუბროთ. კარგი ბევრად ძლიერია, ყოველთვის ასე იყო. კარგი მაგარი პიროვნებებისგანაა შექმნილი.  
— დღეს არსებობენ ასეთი „მაგარი პიროვნებები“?  
— ყველა თაობის გამოხატვის საშუალებები განსხვავებულია... ამას წინათ, თავისუფალ თეატრში დამპატიყა მსახიობმა. ისე ვერ წამოვიდოდი, ეს მსახიობები არ მენახა, მაგრამ სიტყვები ვერ ვიპოვე... მხოლოდ ვუთხარი — ძალიან კარგი არტისტები ხართ-თქო... წვიმდა და ვერ ვგრძობდი, ვფიქრობდი — რა ბედნიერებაა, რომ არსებობენ და რამხელა დანაშაულია, ადამიანის პოტენციის ჩაქოლება. რამ უნდა დამბრმავოს, ეს რომ ვერ დავინახო.  
— ამდენი არაა, სცენა ახალგაზრდა მსახიობს დაუთმო...  
— უნდა მოვიდნენ ახალგაზრდები, ეს ბრწყინვალე პროცესია! სხვანაირად როგორ განვითარდება? ეს ბუნების კანონია... იცით, საქმე რაა? — იმისთვის, რომ იყო საინტერესო, სულ არ არის აუცილებელი ჯახების მოწყობა ცხოვრებაში... არსებობს ხელოვნების ისეთი დარგი, როგორცაა ცირკი — იქ არ არის უარყოფითი გმირი, მაგრამ მაყურებელი მოწუხებულია, ვერ წყდება და ყოველთვის ჰყავს.  
— გამოდის, ცხოვრება ცირკი არ ყოფილა...  
— ცხოვრება ცხოვრებაა...

## პირსიანიშვილი


### პრემიერ-მინისტრმა ზაზა ურუშაძესა და გიორგი ოვაშვილს კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო გადასცა



კინორეჟისორებს კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო — ხელოვნების ქურუმი გადაეცათ. როგორც კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, სახელმწიფო კინოინდუსტრიის ამ წარმატებას აფასებს. მინისტრის თქმით, გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, მისი უწყება მთავრობასა და პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივებით შესვლასაც გეგმავს, რათა ამ სფეროს მეტი წარმატების საშუალება შექმნას. „ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს გათვითცნობიერებული, რასთან გვაქვს საქმე. ეს უდიდესი წარმატებაა არა მხოლოდ რეჟისორების და პირადად მათი, ვინც ამ ფილმზე მუშაობდა, არამედ მთლიანად ქართული კინემატოგრაფიის და ჩვენი ქვეყნის. ეს სფერო აშკარად აღმავლობის და განვითარების საშუალებაა შექმნას“.

კინორეჟისორებს კულტურის სამინისტროს სპეციალური ჯილდო — ხელოვნების ქურუმი გადაეცათ. როგორც კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ აღნიშნა, სახელმწიფო კინოინდუსტრიის ამ წარმატებას აფასებს. მინისტრის თქმით, გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, მისი უწყება მთავრობასა და პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივებით შესვლასაც გეგმავს, რათა ამ სფეროს მეტი წარმატების საშუალება შექმნას. „ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს გათვითცნობიერებული, რასთან გვაქვს საქმე. ეს უდიდესი წარმატებაა არა მხოლოდ რეჟისორების და პირადად მათი, ვინც ამ ფილმზე მუშაობდა, არამედ მთლიანად ქართული კინემატოგრაფიის და ჩვენი ქვეყნის. ეს სფერო აშკარად აღმავლობის და განვითარების საშუალებაა შექმნას“.

### თბილისის ბაქნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტით სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტი დაინტერესდა



უნივერსიტეტის პირველი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან პროფესორები — კარენ ჰოლბრუკი, როჯერ ბრინდლი და რობერტ ბიშოპი, თბილისში შეხვედრებს მართავს. ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტისა და განათლების სისტემაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია პროფესორებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მია ციტიშვილმა მიაწოდა. სტუმრებმა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს საკუთარი წინადადებებიც წარუდგინეს. პარალელურად, პარტნიორობის შესაძლებლობა განიხილება მსოფლიოს სხვა ნაწილში უნივერსიტეტებთან. შეხვედრაზე საუბრის ერთ-ერთი თემა იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ განათლების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობა. პროფესორებმა მზადყოფნა გამოთქვეს, სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ქართველი სტუდენტები მიიღონ.



# არჩილ ფრანგიშვილი: „ჩვენი არსებითი სტრატეგია დაუსაქმებელი არ უნდა დარჩეს“

ინტერვიუ ლურსმანაშვილი  
593-51-52-04

განათლება და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ხელისუფლებამ პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, ტექნიკური უნივერსიტეტის ახლადშექმნილი — აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემის ინჟინერინგის ფაკულტეტი შექმნილიდან გურამიშვილის გამაზირზე, ახალგაზრდობის შენობაში გადავა. აქ კი, თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან ერთად, სტუდენტებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შექმნილი უნიკალური ლაბორატორიაც დახვდებათ. ფაკულტეტის დეკანის აზრით, სახელმწიფოს მხარდაჭერა სასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია, ინვესტიციის განათლებაში ჩადება კი, საუკეთესო საქმე, რომელიც ქვეყანას, ბუმერანგით დაუბრუნდება. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის განმარტებით კი, სასწავლებლის ხელმძღვანელობა სტუდენტებს, ხარისხიანი განათლების მისაღებად ყველა პირობას შეუქმნის.



განათლების სამინისტრომ ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის შენობა გაარემონტა და უნიკალური დაბორიანებით აღჭურვა

პირველი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამარ-თალმემკვიდრეა.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი იმ მთავარ ფაქტორებზე საუბრობს, რომელთა საშუალებით, ამ სასწავლებლის აგრარული ფაკულტეტი, სხვა სასწავლებლებს კონკურენციას გაუწევს: „უმალესი ხარისხის პროგრამა, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საუკეთესო ლაბორატორია...“ ეს უკანასკნელი კი, ერთ-ერთია, რომლითაც ტექნიკური უნივერსიტეტი ამბობს: „სახელმწიფოს დაფინანსებით, განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, შევიძინეთ ისეთი ლაბორატორია, რომლის მსგავსიც, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი არა, ევროპაშიც იშვიათად მოიპოვება. ბაზაზე, რომელიც სულ მალე დასრულდება, გვეძლევა, საშუალება, სრულიად ახალ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით განვხორციელოთ ამერიკული და ევროპული სტანდარტების პროგრამები. ქართველმა პროფესორებმა ტრენინგი გაიარეს ამერიკულ პროფესორებთან ერთად და კვალიფიკაციით, მათ სტანდარტს გაუტოლდნენ. ასე რომ, აგრარულ ფაკულტეტს, ყველა კომპონენტი აქვს იმისთვის, ლიდერი გახდეს და ისეთი კადრები გაზარდოს, რომლებზედაც ბაზარზე მოთხოვნა აუცილებლად იქნება.“

როგორც ირკვევა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი „ბაზართან მუდმივი კონტაქტი“ და სტუდენტებისთვის, დასაქმების ხელშეწყობაა. არჩილ ფრანგიშვილის განმარტებით, აგრარული ფაკულტეტის დეკანი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. მუშაობა მიმდინარეობს რამდენიმე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურასთან, რათა აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ნაჩინებულ კურსდამთავრებულებს გარანტირებულად შესთავაზონ სამუშაო ადგილები სპეციალობების მიხედვით. „ჩვენ გვინდა, ჩვენი არც ერთი სტუდენტი არ დარჩეს სამსახურის გარეშე“, — აცხადებს ფრანგიშვილი და დარწმუნებულიცაა, რომ ისეთი დონის პროფესიონალებს გამოუშვებს აგრარული ფაკულტეტი, რომლებზეც მოთხოვნა აუცილებლად იქნება. ოპტიმიზმის საფუძველს, ყველა ჩამოთვლილ კომპონენტთან ერთად, ისიც აძლევს, რომ როგორც თავად ამბობს, ყველა პროგრამა, რომელიც დაინერგა აგრარულ ფაკულტეტზე, უცხოური პროგრამებიდან პირდაპირ თარგმნილი კი არა, ქართულ რეალობაზე, ქართული ბაზრის მოთხოვნებზეა მორგებული.

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე სტუდენტთა პირველი მიღება 2014/15 წლებში უკვე განხორციელდა. ბაკალავრიატში პირველკურსელთა რაოდენობამ 650-ს მიაღწია. ამოქმედდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიც. ფაკულტეტის დეკანის, გიორგი ქვარცხავას განმარტებით, მეცხოველეობის, აგრონომიისა და წყლის რესურსების ინჟინერინგის პროგრამები ხორციელდება აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ასუ) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია აიოვას უნივერსიტეტში არსებული პროგრამების დანერგვა და 2+2 სასწავლო გეგმის განხორციელება, რაც ორმაგი დიპლომის გაცემის საშუალებას იძლევა. ხელშეკრულების ფარგლებში ითარგმნა ის პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებითაც ხორციელდება სწავლება აიოვას უნივერსიტეტში და პირველკურსელი სტუდენტები უკვე აიოვას დისციპლინებით გადიან სწავლებას. „დანარჩენი პროგრამები იხვეწება და ახალი პროგრამების შემუშავებაც მიმდინარეობს. სწავლების სადოქტორო პროგრამებზე შემუშავების პროცესშია დამატებით 2 პროგრამა, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. სწავლების სამაგისტრო პროგრამებზე აქტიურად დაწყებულია სასწავლო პროგრამებზე მუშაობა დასავლეთ ევროპის (ესპანეთი, იტალია, სლოვაკეთი, პოლონეთი) წამყვან უნივერსიტეტებთან კოორდინაციაში, საერთო ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებაზე და ორმაგი დიპლომების დანერგვაზე. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან ჩვენი მიზანია, სტუდენტმა, რომელიც დამთავრებს ჩვენ უნივერსიტეტს, აიღოს ისეთი დიპლომი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლეთშიც“, — აცხადებს გიორგი ქვარცხავა და გვიმხელს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან, ფაკულტეტის დისლოკაციის ადგილი, გურამიშვილის გამაზირზე (№17), კვების მრეწველობის ინსტიტუტის შენობა იქნება. ინსტიტუტი არსებობას ფაკულტეტთან ინტეგრირებულად გააგრძელებს. ფაკულტეტზე ასევე ინტეგრირდება ბიოტექნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, რომლის მიზანია აგრარული მეცნიერებების, მეცხოველეობისა და კვების ტექნოლოგიის დისციპლინების სპეციალური-პრაქტიკული პოტენციალის გაძლიერება იქნება. თითქმის დასასრულს უახლოვდება შენობის რემონტი. მიმდინარე სამუშაოებისას გათვალისწინებულია ყველა მოთხოვნა, რომელსაც თანამედროვე ტიპის სასწავლო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს (პანდუსებისა და სპეციალური ადგილების მიწოდება სველ ნერტივებში უნარ შეზღუდული პირებისთვის, მეტეოინჟინერინგის, სახანძრო დაცვის, უსაფრთხოებისა და პროფილის სპეციფიკიდან გამომდინარე, სავენტილაციო სისტემები...) აქვე განთავსდება არჩილ ფრანგიშვილის მიერ ნახსენები ლაბორატორია, რომელიც აიოვას უნივერსიტეტის მოთხოვნებთან შედარებით, გაცილებით მეტის საშუალებას იძლევა. **ბიორბიოქიმიკალიზაცია** განმარტებით, ფაკულტეტზე სწავლების საქართველოსთვის ინოვაციური მეთოდებიც დაინერგება: „ყველა ლაბორატორიასა და აუდიტორიამ უნივერსიტეტის ფაკულტეტის ფაქტორული დაფუძნება (smart board) დამონტაჟდება. აუდიტორიები „ხმის მიცემის სისტემით“ (SMART Response Clicker) აღიჭურვება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ლექტორებს საშუალება მიეცემათ, „ცოცხალი ლექციები“ ჩატარონ, სადაც არცერთი სტუდენტი არ იჯდება უინტერესოდ. ეს ტექნოლოგია საშუალებას მისცემს პროფესორს, ლექციის პროცესში განსაზღვროს, შეძლოს თუ არა აუდიტორიამ განვლილი მასალის აღქმა და ამის მიხედვით გადაწყვიტოს, განაგრძოს ლექცია თუ მიუხერხებლად მასალას და კიდევ ერთხელ, უკეთ ახსნას. ლექციაზე კითხვა-პასუხის რეჟიმი იქნება. ლექციის დასრულების შემდეგ კი, სტუდენტებს ექნებათ საშუალება, ლექცია შეაფასონ. გათვალისწინებულია ამ სისტემის ინტეგრირება სმარტფონებსა და პლანშეტებთან, რაც სტუდენტს გაუადვილებს მოქმედებას. ვეგმავთ ასევე ვიდეოსკოფერენციო აპარატურის კომპლექტის შექმნას, რომელიც არა მარტო ინტერნეტსწავლების დანერგვის, არამედ „ცოცხალი“ (აუდიტორია და მომხსენებელი სრულად აღიქვამს ერთმანეთს) ლექციების ჩატარების საშუალებას მოგვცემს.“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) რექტორის, არჩილ ფრანგიშვილის განმარტებით, სასწავლებელში აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი 2013 წლის 16 დეკემბერს, აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებული სხდომის დადგენილება 15-ის თანხმად შეიქმნა. ფაკულტეტი 8 საგანმანათლებლო პროგრამას აერთიანებს: მეცხოველეობა, აგრონომია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერინგია, აგრობიზნესის მენეჯმენტი, სასურსათო ტექნოლოგიები, სატყეო საქმე, აგრარული ტექნოლოგიები და აგროინჟინერია. მათგან შვიდი, სახელმწიფოს მხრიდან სრულადაა დაფინანსებული. რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზე მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნის შემდეგ კი ისინი, თემბატურად, ერთი კოლგის ქვეშ მოექცა.

**არჩილ ფრანგიშვილი:** „სტუდენტებს შევთავაზებთ 8 ახალი პროგრამა, რომლებიც სრულად შეესაბამება კლასიფიკატორს. ეს პრაქტიკულად არის, აგრარული მიმართულების მთელი სპექტრი. ყველა პროგრამა, რომელსაც უცხოელ პარტნიორებთან — ამერიკელებთან, იტალიელებთან, ესპანელებთან, სლოვაკებთან, ჩეხებთან ერთად ვაკეთებთ, გვინდა უმაღლესი სტანდარტის იყოს. ისეთის, როგორზეცაა მოთხოვნა დასავლეთში. ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამები იდენტური იქნება და ნებისმიერი სტუდენტი, რომელიც მას გაივლის, მისაღები იქნება მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტისთვის.“

არჩილ ფრანგიშვილი იმასაც გვიხსნის, რომ აგრარული ფაკულტეტის ტექნიკურ უნივერსიტეტში გახსნა სიმბოლურიც იყო და გარკვეულწილად, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ტოლფასიც — „ჩვენი უნივერსიტეტი ხომ, ამიერკავკასიაში

## რეგიონი

### სოსილურად შეჭირვებული ოჯახი დახმარების მოლოდინში

მითხნეს, სამი წლით განაცხადის დანერის უფლებაც არ გაქვსო“

გიორგი სირაძე  
„ვარსიანთის“ გზრილიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის თემში მცხოვრები გუგავების ოჯახი წლებია სოციალური დახმარების ბაზაში მოხვედრას ელოდება. როგორც ოჯახის წევრები „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებენ, განცხადებით არაერთხელ მიუმართავთ, მაგრამ მათთვის დახმარების დანიშვნა ვერა და ვერ მოხერხდა. ოჯახის უფროსის თქმით, პოლო განაცხადების გაკეთების შემდეგ, მალაღი ქულა მიიღეს და სააგენტოში ახალი განაცხადების დანერა სამი წლით აუკრძალეს: „ბოლო განაცხადებაც ორი წლის წინ დავწერე. მაშინ ერთი შვილი მყავდა ჩანერილი. მოგვიანებით, ის თურქეთში წავიდა, თუმცა ამით ჩვენ არაფერი შეგვმატებია — ცალკე ოჯახია, შვილები და შვილიშვილები ჰყავს. სააგენტოში დამპირდნენ დახმარებას და სამი წლით განაცხადების დანერის უფლებაც კი წამართვეს. მას შემდეგ ორი წელია ვასული“, — გვიამბობს ოჯახის უფროსი, 73 წლის ხასი გუგავა.



ათასი ქულა მიიღეს, რაც სოციალური დახმარების მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა. მოგვიანებით, ქულები 90 ათასამდე გაეზარდა. მოხუცების თქმით, ქულების ოდენობა ბევრად აღემატება მათ პირობებს, რაც ისედაც თვალშისაცემია.

რაც შეეხება ოჯახის შემოსავალს, თავის გატანა მხოლოდ პენსიით უწევთ. როგორც თვითონ აცხადებენ, მედიკამენტებსა და საკვებში მისი გადანაწილება უძნელდებათ, რის გამოც პენსიას ნინასნარ იღებენ, მერე მედიკამენტების მარაგსა და ნინასნარ დაგროვებულ ვალს ისტუმრებენ, საკვების შექმნა და თავისგატანა კი ისევე ვალდებით უწევთ.

ოჯახის უფროსის განცხადებით, ჯერ შეუძა არ მოუმარაგებიათ, უსახსრობისა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

სოციალური სააგენტოს ოზურგეთის ფილიალში მიმდინარეობს არ დაინიშნა ოჯახს სოციალური შემწეობა, მხოლოდ ოჯახს გააჩნია. დანარჩენ შემთხვევაში ინფორმაცია კონფიდენციალურია.

2013 წლის 1 იანვრის მონაცემთა ბაზაში ვკითხულობთ, რომ ოზურგეთში, მიზნობრივი სოციალური პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული შემწეობის მიმღები ოჯახების სტატისტიკა ასეთია: რეგისტრაცია გავლილი აქვს 11 388 ოჯახს, აქედან შემწეობის მიმღებთა ბაზაში მხოლოდ 1 999 ოჯახი ფიქსირდება, რაც რეგისტრირებული მოსახლეობის 7.9%-ია.









ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|   | 4 |   | 8 |   |   |   |   | 1 |
|   |   |   |   | 2 |   |   |   | 7 |
|   |   |   | 1 | 7 |   | 4 |   |   |
| 4 |   |   | 6 | 1 |   | 2 | 8 |   |
|   | 6 | 2 | 3 |   | 7 | 1 | 4 |   |
|   | 8 | 9 |   | 5 | 4 |   |   | 6 |
|   |   | 6 |   | 4 | 1 |   |   |   |
| 8 |   |   |   | 3 |   |   |   |   |
| 9 |   |   |   |   | 8 |   | 7 |   |

|   |   |   |   |   |   |   |  |   |
|---|---|---|---|---|---|---|--|---|
|   | 6 |   |   |   | 3 |   |  |   |
| 3 |   |   |   |   |   | 6 |  | 9 |
| 9 |   |   |   |   | 6 | 4 |  | 1 |
| 8 |   |   | 6 |   |   | 1 |  |   |
|   |   |   | 9 | 1 | 5 |   |  |   |
|   |   | 6 |   |   | 2 |   |  | 5 |
| 1 |   | 8 | 2 |   |   |   |  | 4 |
| 6 |   | 7 |   |   |   |   |  | 8 |
|   |   |   | 8 |   |   |   |  | 2 |

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|   |   |   |   |   |   | 5 | 4 |   |
| 3 |   |   | 7 | 5 |   |   |   |   |
| 6 | 5 |   | 9 |   |   |   |   |   |
|   |   | 3 |   |   |   | 6 | 1 |   |
| 9 | 1 |   |   | 3 |   |   | 2 | 5 |
|   | 6 | 5 |   |   |   | 7 |   |   |
|   |   |   |   | 2 |   | 6 | 8 |   |
|   |   |   |   | 1 | 8 |   |   | 2 |
| 8 | 4 |   |   |   |   |   |   |   |

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 |   |   | 5 | 6 |   | 4 |   | 1 |
|   |   | 4 |   |   |   | 7 |   |   |
|   | 5 |   | 7 |   |   |   | 8 |   |
| 7 | 4 |   |   | 5 |   |   |   |   |
|   |   |   | 6 |   | 1 |   |   |   |
|   |   |   |   | 3 |   |   | 9 | 7 |
|   | 8 |   |   |   | 7 |   | 3 |   |
|   |   | 1 |   |   |   | 5 |   |   |
| 3 | 9 |   | 1 | 5 |   |   |   | 8 |

## სიმსუქნესთან ბრძოდა მსოფლიოს უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე ომი

ჭარბი წონის პრობლემა კაცობრიობას ძალიან ძვირი უჯდება, გაცილებით ძვირი, ვიდრე თამბაქოს მონევა, შეიარაღებული კონფლიქტი, ალკოჰოლიზმი ან გარემოს დაბინძურება. ძირითადი ხარჯი ამ შემთხვევაში, იმ დაავადებებითაა განპირობებული, რასაც სიმსუქნე იწვევს. მხედველობაშია მათი მკურნალობის ხარჯი, სამუშაო დროის კარგვა და შრომისუნარიანობის შემცირება. მაკინზის გლობალური ინსტიტუტის მონაცემებით, სიმსუქნე ყოველწლიურად „შთანთქავს“ დაახლოებით 1,3 ტრილიონ დოლარს. დღეს ჭარბი წონის პრობლემა დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს, ანუ 2,1 მილიარდ ადამიანს აწუხებს. სიმსუქნესთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები ყოველწლიურად იზრდება და სპეციალისტების გათვლით, 2030 წლისთვის ჭარბწონიანთა კატეგორიაში პლანეტის მოსახლეობის უკვე ნახევარი შეიძლება აღმოჩნდეს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად გლობალურ მასშტაბებში აუცილებელია სისტემური ღონისძიებების გატარება და გაბედული პოლიტიკური ნაბიჯებიც. კერძოდ, მკვლევარების აზრით, საჭიროა, შემოიღონ მზა საკვები პროდუქტის კალორიულობის კონტროლი, ასევე უნდა გადაფასდეს ნახევარფაბრიკატებისა და ფასტფუდის ცნებები. მეცნიერთა შეფასებით, ასეთი ღონისძიებები შესაძლოა, უფრო ეფექტური აღმოჩნდეს, ვიდრე გადასახადების შემოღება პროდუქტში ცხიმისა და შაქრის მაღალი შემცველობის გამო, ან ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. მაკინზის სპეციალისტთა მოხსენებაში ნათქვამია, რომ აუცილებელია ფართომასშტაბიანი სტრატეგიის მიღება, რადგან სიმსუქნის პრობლემა უკვე კრიზისულ სახეს იღებს.



### ცვლაში მუშაობა ინტელექტს აქვეითებს



ცვლაში მუშაობისთვის თავის დანებების შემდეგ ტვინის ფუნქციის აღდგენა ხდება, მაგრამ ამაზე ხუთ წელზე მეტია საჭირო. არარეგულარული გრაფიკით მუშაობა ადამიანის ინტელექტუალურ უნარებს აქვეითებს. ბრიტანელი მეცნიერების კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ამგვარი მუშაობის ათი წელი ტვინს ექვსი წლით აბერებს. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ეს დასკვნები, შესაძლოა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს გონებასუსტობის კვლევის დროს, რადგან ბევრ პაციენტს ძილი აქვს დარღვეული. ორგანიზმის შინაგანი საათი აკონტროლებს ძილისა და სიფხიზლის პერიოდებს. უკვე დიდი ხანია ცნობილია ამ მექანიზმის დარღვევით გამოწვეული მავნე ფაქტორები ფიზიოლოგიურ პროცესზე. მკვლევარებმა სამი ათასამდე პაციენტი გამოიკვლიეს საფრანგეთში და დაადგინეს, რომ ღამის საათებში მუშაობა ზრდის ჭარბი წონის, ინფარქტისა და ინსულტის რისკს. აღმოჩნდა, რომ იმ პაციენტებს, რომლებიც 10-ზე მეტი წლის განმავლობაში ცვლებში მუშაობდნენ, ტვინის ფუნქცია იმ დონეზე ჰქონდათ, რაც 6,5 წლით უფროს ადამიანებს. სწავლულების თქმით, ამ აღმოჩენამ, შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა იქონიოს ხანდაზმულ ადამიანებში ტვინის დეგენერაციის მკურნალობაზე. ხანდაზმულთა თავმჯდომარეებში აუცილებელია დანესდეს მკაცრი რეჟიმი ძილსა და სიფხიზლეზე და ისეთი პრეპარატები უნდა გამოიყენონ, რომლებიც ბიოლოგიურ რიტმს აკონტროლებს, — აღნიშნავენ სწავლულები.

## წინა ნოქარში გასული სქანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 7 | 1 | 6 | 5 | 8 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 6 | 9 | 3 | 8 | 5 | 1 | 7 |
| 5 | 1 | 8 | 7 | 4 | 2 | 6 | 3 | 9 |
| 1 | 8 | 3 | 5 | 7 | 4 | 2 | 9 | 6 |
| 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 | 4 | 5 | 8 |
| 9 | 5 | 4 | 8 | 2 | 6 | 3 | 7 | 1 |
| 2 | 7 | 5 | 6 | 9 | 3 | 1 | 8 | 4 |
| 8 | 4 | 1 | 2 | 5 | 7 | 9 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 9 | 4 | 8 | 1 | 7 | 2 | 5 |

სტანდარტი

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 7 | 1 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 8 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 3 | 9 | 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 4 | 5 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 7 | 3 |
| 1 | 2 | 5 | 3 | 4 | 6 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 4 | 2 | 8 | 5 | 1 | 3 | 6 |
| 8 | 6 | 3 | 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 |

რთული

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 3 | 5 | 7 | 2 | 4 | 8 | 6 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 4 | 1 | 5 | 9 | 3 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 2 | 4 | 3 | 7 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 3 | 8 | 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 8 | 5 | 1 | 3 | 2 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 2 | 9 | 3 | 4 | 1 |
| 4 | 2 | 9 | 1 | 6 | 3 | 7 | 5 | 8 |
| 3 | 7 | 1 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 | 9 |

ექსპერტი

|   |   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 7 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 | 9 |
| 6 | 4 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 8 | 1 | 4 |
| 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 2 |
| 4 | 1 | 5 | 6 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 9 | 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 3 | 6 | 4 | 7 | 1 |
| 2 | 7 | 4 | 8 | 9 | 1 | 5 | 3 | 6 |
| 1 | 6 | 3 | 4 | 5 | 7 | 9 | 2 | 8 |

- მე-10 გვერდი: 1. ბროკოლი; 2. რევიუ; 3. კატამარანი; 4. ლორენი; 5. ბარბი; 6. აგორა; 7. ძაბუტონი; 8. მოლა; 9. ტვიტერი; 10. რკინა; 11. ანათემა; 12. იოფე; 13. ხორბალი; 14. მარტი; 15. რეტენცია; 16. ინერცია; 17. იკიკე; 18. კანოე; 19. გურმანი; 20. კანიონი; 21. სტოა; 22. იანი; 23. მერმისი; 24. არინა; 25. ხვაი; 26. მაო; 27. სნუპ დოგი; 28. ენტერიტი; 29. ნათხემი; 30. პან; 31. მარაბუ; 32. ვენახი; 33. ვანი; 34. ოდრა; 35. კემი; 36. კურიე; 37. ინა; 38. ხადური; 39. ზიპი; 40. ჰიზა; 41. დიუკ; 42. ვაიო; 43. ოტარიდი; 44. იმაგო; 45. გინზა; 46. საბო; 47. ვისოცკი; 48. ოდა; 49. ექო; 50. ავი; 51. კოკაინი; 52. კვარტა; 53. ესე; 54. მატე; 55. ტატუ; 56. იქ; 57. აბო; 58. გერუსია; 59. რაე; 60. ჭრაქი; 61. ოქტაგონი; 62. ეკი; 63. რუ; 64. გიჟუა.
- მე-12 გვერდი: 1. ბრეხტი; 2. რებუსი; 3. ხორუმი; 4. ოლანდი; 5. ლიკვორი; 6. ნინეგია; 7. აბორტი; 8. არარა; 9. ოთხშაბათი; 10. სკუნსი; 11. რატინი; 12. შევრო; 13. სამოა; 14. შევრო; 15. ყურუში; 16. ჯირითი; 17. ური; 18. „იარისი“; 19. პრაია; 20. ლატი; 21. აგონია; 22. აისბერგი; 23. ოლინი; 24. ანონსი; 25. „გარაჟი“; 26. გალილეო გალილეი; 27. ნადალი; 28. ალა; 29. ევა; 30. აორტა; 31. აბი; 32. სადილი; 33. ელი; 34. თეო; 35. „ოკა“; 36. ალბა; 37. ტუგრიკი; 38. ფუგუ; 39. კაჟი; 40. ლიე; 41. ემი; 42. მენელაე; 43. ეტნა; 44. ჰემორაგია; 45. ერი; 46. ლაერტი; 47. რაუნდი; 48. ჰობოი; 49. რინიტი; 50. დარეჯანი; 51. ლატე; 52. რენტა; 53. გრიგი; 54. ოგიგია; 55. იარა; 56. რონალდუ; 57. სერია; 58. მლაჟე; 59. სიზმარი; 60. მაკე; 61. რომეო; 62. გიზონი; 63. ტავრომანია; 64. ჯოკერი; 65. ზმა; 66. „არიელი“; 67. ბეკინა; 68. „ონა“; 69. კასრი; 70. ლოსი; 71. ნალია; 72. არი; 73. სირ; 74. ურო; 75. სერ; 76. ნაია; 77. გენია; 78. ტრევი; 79. ტლუ; 80. ნიკეა; 81. ამაო; 82. ბრა; 83. ოიმიაკონი; 84. კიურე; 85. პაუზა.

ღეჟეჟისა  
ყძილობა შველის?

ციურიხის უნივერსიტეტის სწავლულებმა დებრესის მკურნალობის იაფი და ეფექტური მეთოდი შემოგვთავაზეს — ექსპერიმენტის დროს ადამიანებმა ისწავლეს ცხოვრებით ტკობა. შვეიცარიელი სპეციალისტების მეთოდის არსი მარტივია — დებრესიაში მყოფ ადამიანებს სულ ცოტა უძილობა შესთავაზეს. ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ძილის დარღვევა ყველაზე ხშირად მაშინ ხდება, როცა ადამიანი რაიმეს გამო უხასიათოდა. ამიტომ თუ ძილს მიზანმიმართულად შევწყვეტთ, ეს ტვინის ზოგიერთი უბნის რეორგანიზებაში დაეხმარება. ამავდროულად ქრება სევდაც. ანტიდებრესიანტის რანგში, ექიმები გვიჩვენებენ, დასაძინებლად ადრე დაგვწვეთ და ღამის მეორე ნახევარში გავიღვიძოთ. ექსპერიმენტის მონაწილეებმა ახალი „აბი“ საკუთარ თავზე გამოსცადეს: მათგან 40-60%-ს დებრესია გაუქრა, დღის შეცვლილი რეჟიმი კი მათ ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ აისახა.



